საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№53 (9884) 2025 წლის 11 აპრილი, პარასკევი

ფულის მონა კაპიტალიზმი...



„ოპიუმის ომები“ ● „ქათმებით ომი“ ● „მაკარონის ომი“ ● „ბანანის ომი“ ● ბუში ევროკავშირის წინააღმდეგ

5

დიდი „სავაჭრო ომები“ XIX საუკუნიდან დღემდე

ორი «კვარა»

ვანო ჩხიკვაძე:

ღმერთო,
ხელი მოგვიმართე,
შვილები რომ სჯობდნენ მამებს –
გაეზარდე საქართველოს,
ციცქნა „კვარა-დამიანე!“

9

7

11

ROBAQIDZIS MKVLELOBIS SAQME

ჯოჯოხეთი

ნაცფაშისტური რეჟიმის მორიგი, სისხლიანი ქრონიკები

7

პატივი მივაგოთ გენიალურ რუსთაველს და დავამშვენოთ თბილისის ცენტრი!

2

გაბრაზებული სპიკერის შეფასებები გასაჩივრებას არ ექვემდებარება

„საფრანგეთი – ევროპის უკანასკნელი ავადმყოფი ადამიანი:

ევროპის პროგრესული წინსვლის ფონზე საფრანგეთი ჩიხში შედის“

8

6

7

უკრაინა დღეს არის დიდი კონცლაგერი, სადაც თარეშობს კორუფცია და ქაოსი

ჯემალ სეფიაშვილის შემოქმედებითი საღამო

12

საქართველოს რესპუბლიკა
უჟამო ჟამი
№53. პარასკევი, 11 აპრილი, 2025 წელი

ირაკლი კობახიძე:

ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ სიძულვილს!

სამების საკათედრო ტაძარში 9 აპრილს დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გაიმართა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილთან, თბილისის მერთან, პახა კალაძესთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წევრებთან ერთად, სამების საკათედრო ტაძარში 9 აპრილს დაღუპულთა სულის მოსახსენიებელ პანაშვიდს დაესწრო.

პანაშვიდი საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტმა შიომ მღვდელმთავრებთან ერთად გადაიხადა.

„დღეს ჩვენ პატივს მივაგებთ 9 აპრილის გმირების ხსოვნას, პატივს მივაგებთ მათ გმირობას. 9 აპრილის ტრაგედიიდან ზუსტად ორ წელიწადში საქართველომ ოფიციალურად გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. მე მახსოვს ის დღეები, კვირები, თვეები, ის რამდენიმე წელი, როდესაც შეიცვალა დამოკიდებულება საზოგადოებაში და სიძულვილს სძლია სიყვარულმა. შესაბამისად, ეს ყველაფერი შეგვახსენებს იმას, თუ რამდენად უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, თავისუფლებას, რომელიც მოვიპოვეთ სწორედ ჩვენი გმირების მრძოლის საფუძველზე. ეს ყველაფერი შეგვახსენებს ასევე იმას, რომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ერთმანეთის მიმართ ურთიერთობას და სიყვარულს“, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დაახლოებით 35 წლის წინ საბჭოთა „კაგებე“ ცდილობდა ხელოვნურად ქართული საზოგადოების გახლეჩას და დღეს უკვე ამას ცდილობენ სხვა გარე ძალები, რომლებიც მოქმედებენ ზუსტად იმავე მეთოდებით, რა მეთოდებითაც თავს დროზე საბჭოთა „კაგებე“ მოქმედებდა.

„ყველაზე სამწუხარო და დასანანი ის არის, რომ „დიფ სთეითი“ მოქმედებს ევროკავშირის და აშშ-ის გამოყენებით, მანამდე მოქმედებდა ოფიციალური სტრუქტურების გამოყენებით. ამ ეტაპზე აშშ-ში ვითარება შეცვლილია, მაგრამ ბრიუსელის ბიუროკრატია დღემდე გამოიყენება იმისთვის, რომ საქართველოში ხელოვნურად დათესონ სიძულვილი. დღევანდელი დავალებაც, რომელიც მიიღო უცხოურმა აგენტურამ, ემსახურება სწორედ საზოგადოების ხელოვნურად გახლეჩას. არიან ადამიანები, რომლებიც ყველა თარიღს იყენებენ სიძულვილის დასათესად, საზოგადოების გასახლეჩად. ეს არის დამკვიდრებული პრაქტიკა და დღევანდელ დღეს მათ სცადეს, 9 აპრილი, ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი დღე გამოიყენებინათ კიდევ ერთხელ საზოგადოების გასახლეჩად. რა თქმა უნდა, ზუსტად ისე, როგორც დამარცხდა თავის დროზე, 34 წლის წინ საბჭოთა „კაგებე“, როცა ჩვენ გამოვაცხადეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, ზუსტად ასევე ამ გარე ძალებზე გაიმარჯვებს საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეა. ჩვენ აუცილებლად დავამარცხებთ სიძულვილს, აუცილებლად გაგვაერთიანებს სიყვარული და განვაგრძობთ მრძოლას, რომ კიდევ უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ეს არის ჩვენი პასუხისმგებლობა 9 აპრილის გმირების წინაშე – მრძოლა დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის. ჩვენი საერთო ოცნება არის ჩვენი ქვეყნის გამთლიანება და ასევე ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ეს არის პასუხისმგებლობა გმირთა სულების წინაშე“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

უსინდისო ურსულა და... აღშფოთებული ილჰამ ალიევი...

ევროკომისიის პრეზიდენტმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა უზბეკეთში გამართულ სამიტზე გევრი ისაუბრა შუა დერეფანზე, სომხეთ-თურქეთის, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრების გახსნაზე, თუმცა საქართველოზე არაფერი უთქვამს, რაც უსამართლოდაა, – განაცხადა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.



„რბილად რომ ვთქვათ, გაოცებული დავრჩი, როცა ევროკომისიის პრეზიდენტის, ქალბატონი ურსულა ფონ დერ ლაიენის მიერ გაკეთებული განცხადების შესახებ მაცნობეს, რომელიც მან უზბეკეთში ცენტრალური აზიისა და ევროკომისიის ლიდერების სამიტზე გააკეთა. ის საუბრობდა აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, სომხეთსა და თურქეთს შორის საზღვრების გახსნაზე შუა დერეფნის განვითარების კუთხით, რასაც ისინი ევროპის გლობალურ კარიბჭეს უწოდებენ. ძალიან უცნაური იყო, იმიტომ, რომ ეს დერეფანი არსებობს და სომხეთი მასში არავითარ როლს არ თამაშობს. ჩვენთვის ევროპელი ბიუროკრატების სომხეთისადმი გრძნობები გასაგებია, მაგრამ რუკას ვერ უგულებელყოფ. და ჩვენ, საქართველოსა და აზერბაიჯანში უკვე უზრუნველვყავით ყველა ეს შესაძლებლობა, რომელიც დღეს ევროპელებს ცენტრალურ აზიასთან კომუნიკაციაში ეხმარება. საქართველოს საზღვაო პორტები, ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა, აზერბაიჯანის საზღვაო პორტი ალათში, კასპიის ზღვაოსნობა, რომელიც ტრანსპორტის შემადგენელი ნაწილია. ყველაფერი ეს იგნორირებულია. ჩვენ მიერ ინვესტირებული ფული იგნორირებულია. მხოლოდ თურქეთსა და სომხეთს შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საზღვრების გახსნაზეა საუბარი. რა უნდა ქნას ევროპამ? ეს მათი საქმე არაა. თურქეთსა და სომხეთს შორის, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობები ევროპისგან შორს არის. არცერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი საქართველოზე. თითქოს საქართველო არ არსებობს. ეს უსამართლოა“, – თქვა ალიევმა.

„ევროპული კომისიის მიერ საქართველოს საშინაო პროცესისადმი დამოკიდებულება აბსოლუტურად მიუღებელია. ეს კოლონიალისტურ მიდგომას ჰგავს. ისინი ცდილობენ ქართველი ხალხის ნებას შეხედონ კოლონიალური წარსულის პრიზმიდან. ეს აბსოლუტურად მიუღებელია“!

„საქართველოს ხალხმა იცის, რომ ჩვენ მათთან ვართ. ამის შესახებ საქართველოს მთავრობამაც იცის. და საქართველოს შიდა პრობლემები ქართველი ხალხის და არა ბრიუსელის ბიუროკრატების მიერ უნდა იყოს მოგვარებული“, – თქვა აზერბაიჯანის ლიდერმა.

ილჰამ ალიევი:

ურსულა ფონ დერ ლაიენი უზბეკეთში შუა დერეფანზე საუბრობდა, მაგრამ საქართველოს შესახებ არცერთი სიტყვა არ უთქვამს. ეს უსამართლობაა!

ნომრის ციტატები

გაბრაზებული სპიკერის შეფასებები გასაჩივრებას არ ექვემდებარება

...ამ ამაზრზენი იდეოლოგიის მიმდევრებს, რომლებსაც ჩვენ გუშინ რუსთაველის გამზირზე ვხედავდით, ჰგონიათ, რომ არსებობს კარგი ვასალობა და ცუდი ვასალობა. რუსეთის ვასალი თუ ხარ, მაშინ ცუდი ხარ და თუ ესტონეთის – მაშინ კარგი!..

* * *

„ტვ პირველის“ პატრონისთვის მამუკა ხაზარაძისთვის რუსეთია საბჭოთა კავშირი, უცხო ძალა არ არის. ის დასდევდა იმ მოძრაობის ლიდერებს. ყველამ იცის მისი თავდასხმის ისტორია მერაბ კოსტავაზე, დღეს რომ ყელყელაობენ პატრიოტიზმით. მამუკა ხაზარაძე, რომელმაც თავისი პირველი მილიონი რუსეთში გააკეთა, იმასაც ხომ არ უარყოფს, რომ კომკავშირში იყო იმ პერიოდში? რომ ძალადობდა ეროვნული მოძრაობის წევრების და ლიდერების მიმართ? რა თქმა უნდა, ამ ადამიანისთვის რუსეთია საბჭოთა კავშირი, უცხო ძალა არ არის...

* * *

– გუშინ რაც ვიხილეთ, აბსოლუტურად სამარცხვინო აქტი იყო. რამდენიმე ათეულმა ადამიანმა, რომელიც რუსთაველზე იყო, ფეხქვეშ გათელა 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნა, ფეხქვეშ გათელა ის იდეები, რისთვისაც 1989 წლის 9 აპრილს შეკრებილი ადამიანები საბჭოთა ჯარს წინ დაუდგნენ. გუშინ ამ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა ფეხქვეშ გათელა ზოგადად იდეა, რისთვისაც ეროვნული მოძრაობა იბრძოდა. თუმცა ის, რაც ჩვენ ვიხილეთ, ამას კიდევ უფრო ღრმა პრობლემები და ფესვები აქვს იმ მხრივ, რომ ეს არ იყო ცლკეული ადამიანი. ჩვენ ვნახეთ და ვიცით, რომ ეს იყო ორგანიზებული კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან – „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, „საფარი“, „სირცხვილია“, მათ შორის ქალბატონი ლომჯარიას „ენჯეო“, რომლებსაც იქ ვხედავდით და რომლებიც წინა დღეებში აორგანიზებდნენ ღონისძიებას, რომ ხელი შეეშალათ მათთვის

მიიღებელი პირების მისვლისთვის რუსთაველზე. მთავარი მიზანი იყო, უნდოდათ, საზოგადოებას შორის დაპირისპირების პროვოცირება მოეხდინათ. ვიხილეთ კიდევაც, რომ მას შემდეგ, რაც ვერ მიაღწიეს თავისას, ძალადობა დაიწყეს. პრობლემა არის არა ის, რომ იქ ცალკეული ადამიანები იყვნენ, პრობლემა არც ის არის, რომ რომელიღაცა არასამთავრობო ორგანიზაცია გეგმავდა საზოგადოების დაპირისპირებას, პრობლემა არის იმ დონორებში, რომლებიც ამ ყველაფერს აფინანსებენ. ამ ორგანიზაციებს ჰყავთ კონკრეტული დონორები. „საერთაშორისო გამჭვირვალობა“, რომელიც არის ესტონეთში რეგისტრირებული ორგანიზაცია, მას აფინანსებს შვედეთის სახელმწიფო. ამიტომ გუშინ, სინამდვილეში, იქ ყვიროდა შვედეთის წარმომადგენლობა და არა რომელიღაცა ქართული „ენჯეოს“ რომელიღაცა თანამშრომელი. გუშინ იქ ყვიროდა, ძალადობდა და თავს ესხმოდა საკრებულოს წევრს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრს, 9 აპრილის მონაწილეებს და სხვა მოქალაქეებს, რომლებსაც უნდოდათ ტრადიციულად 9 აპრილის მემორიალთან მისვლა, უყვიროდნენ კონკრეტული უცხო ქვეყნების ხელისუფლებების წარმომადგენლები, კონკრეტული დიპლომატები, რომლებიც შემდეგ მემორიალთან თავად მივიდნენ. კითხვა მიემართება შვედეთის ელჩს: ეს არის, რასაც ისინი აფინანსებენ საქართველოში, რომ დააპირისპირონ ქართველი ხალხი?

* * *

...ველოდებით კონკრეტულ პასუხს, ემიჯნება თუ არა შვედეთის საელჩო მის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ამ ტერორს 9 აპრილის მონაწილეებს, საკრებულოსა და აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებს და მოქალაქეებს მიმართ“?!

შალვა პაპუაშვილი,
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

„ვაგლახ, მტერიც რომ არა გყავს, შენი შესაფერი“...

გია აბაშიძე: ოპოზიცია, რომელიც გაიძახის, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ოცნება“ სრულდება, თავად იშლებიან და ჩამოქცევის პირას არიან

ვინ მიიღებს თვითმმართველობის საარჩევნო მარათონში მონაწილეობას და რა ტაქტიკით უნდა გააგრძელოს ოპოზიციამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, ამ საკითხების გარშემო ოპოზიციაში დაპირისპირება ყოველდღიურ სახეს იძენს. ოპოზიციაში ურთიერთბრალდებები და გაურკვევლობა ახალ ფაზაში გადადის და ისინი საჯაროდ ერთმანეთის ლანძღვასაც არ ერიდებიან. რღვევაა დაწყებული ოპოზიციურ კოალიციებში...

„ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა ნიკა ოგოლაძემ, რომელმაც მიზეზად პარტიის და ოპოზიციის გაურკვეველი სამოქმედო გეგმა დაასახელა. მისი თქმით, ოპოზიციამ ან უნდა აირჩიოს რევოლუციური სცენარი და ქუჩის აქციებს ბოლომდე მიჰყვეს, ან კიდევ ხელისუფლებას მოლაპარაკება შესთავაზოს. გარკვეული პირობების სანაცვლოდ კომპრომისზე წასვლაც შეძლოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიცია იმაზე მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება, ვიდრე ამჟამად არის. ოგოლაძე მიიჩნევს, რომ ტყუილია იმ ნარატივის გაგრძელება, თითქოს დასავლეთიდან „ოცნებაზე“ სანქციების პოლიტიკა და ზეწოლის ტაქტიკა მის ჩამოშლას განაპირობებს. მას მიაჩნია, რომ ბიძინა ივანიშვილი სანქციებს უძლებს და ის ამ პროცესს უკვე შეეგუა. მთავარი ქართველი ხალხია, რომელიც ოპოზიციას არ ენდობა!

პოლიტიკოსი **არმაზ ახვლედიანი** ამბობს, რომ ის ამ ოპოზიციას ემიჯნება.

„მე არ წარმოვადგენ ამ ოპოზიციას, მე მას ვემიჯნები, იმიტომ რომ, როგორც იქცევა ახლა ოპოზიცია, ეს არის სირცხვილი და დანაშაულიც. ამათ ხელში ჩვენ ვართ შავ დღეში. ისინიც კი, ვინც დღეს რუსთაველზე აპროტესტებენ, აპროტესტებენ გმირულად, სამაგალითოდ, მათი უმრავლესობა ამ ოპოზიციას მხარს არ უჭერს. ისინი ოპოზიციის გამო კი არ დგანან იქ, იმიტომ დგანან, რომ ამ ოპოზიციამაც მოგვაბეზრა თავი“, – ამბობს **ახვლედიანი.**

ზურა ჯაფარიძის პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლება“ კი რამდენიმე წევრმა დატოვა. პარტიის დატოვების შესახებ ცოტნე კობერიძის მიერ სოციალურ ქსელში დაწერილ სტატუსს მალევე მოჰყვა ბადრი გრიგალაშვილისა და ბორის, ჩელე ყურუას იგივე შინაარსის განცხადებები.

ჯაფარიძის უკვე ყოფილი თანამებრძოლების თქმით, ამ შინაარსით პოლიტიკაში ყოფნის აზრს ვეღარ ხედავენ და არ სჯერათ „გამარჯვების იმ ფორმულის, რომლის მთავარი იარაღიც სალომე ზურაბიშვილია“.

რაც შეეხება არჩევნების გამო დაპირისპირებას, ამ დროისთვის, ცნობილია, რომ 4 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებენ: „ნაციონალური მოძრაობა“, „კოალიცია ცვლილებებისთვის“ და „ფედერალისტები“.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. ექსპრეზიდენტის პარტია კოლეგებსაც მოუწოდებს, რომ მუნიციპალურ არჩევნებზე უარი თქვან.

იმავეს ითხოვს პარტია **„ახლის“** ლიდერი **ნიკა გვარამიაც,** რომელიც კოლეგებს მეტი სიცხადის შეტანას სთხოვს.

„ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა გასცეთ, აპირებთ თუ არა თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას“, – ამბობს **გვარამია.**

მისივე განმარტებით, როდესაც ასეთ ვითარებაში პოლიტიკოსი არ არის ჩამოყალიბებული იმაზე, სრულად ითანამშრომლოს თუ არა რეჟიმთან მომავალში, „უცნაური და საეჭვოა“.

ყოფილი პრემიერის გიორგი გახარიასთვის კი ამ საკითხზე საუბარი ნაადრევია. სწორედ ეს პარტიაა ეჭვმიტანილთა სიაში, რომ ისინი არჩევნებში მონაწილეობას აპირებენ.

არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაურკვევლობაა **ხაზარაძე-ჯაფარიძის** გუნდშიც. კოალიცია „ძლიერ საქართველოში“ საბოლოო პოზიციაზე ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ. პარტიაში მხოლოდ იმას ამბობენ, რომ მათთვის მთავარი დაკავებულების გათავისუფლება და ახალი არჩევნებია.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გამარჯვებაში დარწმუნებულია მმართველი გუნდი. ხელისუფლების წევრებს არც ოპოზიციაში არსებული დაპირისპირება და გაურკვევლობა უკვირთ. „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ მათი ოპონენტები მხოლოდ უცხოელი დამფინანსებლების დაკვეთითა და მითითებით მოქმედებენ.

* * *

„ერთადერთი, რასაც უახლოეს პერიოდში ველოდები, არის – არა ამ კონფიგურაციით, არამედ, სავარაუდოდ, განსხვავებულ კონფიგურაციაზე იფიქრებენ, თუ რა შეიძლება გააკეთონ და როგორ შეიძლება იმგვარად გადაკეთდნენ, რომ არჩევნებში საზოგადოების მხრიდან გარკვეული მხარდაჭერის შანსი გაუჩნდეთ. ასევე, გარე ფაქტორები და ის, თუ რა ტიპის ინსტრუქციას მიიღებენ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია. ამიტომ, ამ შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით მიიღებენ მონაწილეობას, თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, მე არ მაქვს განსაკუთრებული მოლოდინი, რომ მონაწილეობას მიიღებენ, ან თუ მიიღებენ, სერიოზულ მხარდაჭერას მოიპოვებენ“, – აცხადებს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ლევან მახაშვილი.**

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** for.ge-თან ამბობს, რომ მრავალი წელია ოპოზიცია ერთმანეთთან არის დაპირისპირებული. ხოლო, როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, აღმოჩნდება ხოლმე, რომ ისინი საკუთარ ამომრჩევლებსაც ატყუებენ. ამას უკვე დიდი ხანია ხალხი მიხვდა, შესაბამისად, ოპოზიციური პარტიები პოლიტიკური პროცესისგან გარიყულები არიან. თუ არჩევნებშიც არ მიიღებენ მონაწილეობას, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდება.

„რაღაცა გაურკვეველი ალიანსები, ერთობა, განცხადებები, რომელიც რეალურად არაფერს ნიშნავს, უკვე მათ ამომრჩეველსაც ყელში ამოუვიდა. დანიშნავენ რაღაცა საკრალურ თარიღებს, ხალხს უჩენენ მოლოდინს, რომ აი, 31 მარტს იქნება ყველაფერი და რაღაცა საბოლოო სიტყვას გეტყვით. მერე იტყვიან 8 და 9 აპრილს გეტყვით, მერე 26 მაისს გეტყვით და ასე გრძელდება წლიდან – წლამდე. აი, ამ ფერხულში ჩაება ასევე თვითმარქვია პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც. ნაცოპოზიციაში მოლოდინს აჩენს, ხალხს რუსთაველზე იმარებს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ რამე ხელშესახები უთხრას, დგას და ისტორიებს ჰყვება.

გარდა ამისა, რღვევა თავად ოპოზიციის შიგნით დაიწყო. ზოგი ამას ხმამაღლა ამბობს, ზოგიც ჩუმად მიდის. ეს შიდა დინებები უკვე დაწყებულია. ვხედავთ ზურაბ ჯაფარიძის პარტიიდან ახალგაზრდები წავიდნენ. ასევე ნაციონალებიდანაც მიდის ხალხი. ახლა აღმოჩნდა, რომ არმაზ ახვლედიანი ოპოზიციის ოპოზიცია გახდა. თურმე ემიჯნება ამ ოპოზიციას. მოლოს ისე გამოვა, რომ თავად ოპოზიციაც კი საკუთარ თავს გაემიჯნება. ანუ ოპოზიცია, რომელიც იძახის, რომ ბიძინა ივანიშვილი და „ოცნება“ სრულდება, თავად იშლებიან და ჩამოქცევის პირას არიან. ამდენი ხანი გავიდა არჩევნებიდან და ხალხს შეუქმნეს ძალიან ცრუ და ფუჭი მოლოდინი. ჯერ წაგებული არჩევნები აზეიმეს და მერე უთხრეს, რომ გაყალბდაო. ამის ერთი მტკიცებულებაც ვერ დადეს. ხალხს ატყუებენ და აქეთ-იქით დაატარებენ. ოპოზიციაში რღვევა დაწყებულია და გაგრძელება იქნება“, – ამბობს **აბაშიძე.**

მისივე თქმით, ოპოზიცია ქვეყნის შიგნით რადგან ხალხს ვეღარ ატყუებს, ახლა იმედებს დასავლეთზე ამყარებს. თუმცა, ადრე თუ გვიან, ეს მარაზმიც დასრულდება...

ლიკა ბერიკაშვილი

ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტზე კვლავ საქართველოს „ასამარებენ“

გოლო თვეების განმავლობაში საქართველო ხშირად არის წარმოდგენილი ევროპარლამენტის დღის წესრიგში და, სამწუხაროდ, არა დადებითი მიზეზების გამო, – ამის შესახებ ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ჰანა ხალიოლ მურომ** კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

„2025 წლის 12 თებერვალს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საქართველოში პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესების შესახებ, საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების შესახებ 2024 წლის ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც გასულ კვირას პლენარულ სხდომაზე მიიღეს, ჩვენ ასევე გამოვხატეთ შეშფოთება საქართველოში დემოკრატიული უკუსვლისა და მრავალი ნეგატიური მოვლენის გამო.

აღსანიშნავია, რომ ეს ანგარიში უარყოფს საპარლამენტო არჩევნების ნებისმიერ აღიარებას და მიიჩნევს, რომ საქართველო არის „ქართული ოცნების“ არალეგიტიმური რეჟიმის მიერ მიტაცებული სახელმწიფო და ეს უარყოფს ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელიც

მიღებულია ორგანოს მიერ, რომელიც ქვეყნის კონტროლისკენ მიისწრაფვის და ვითარება გაუარესებას განაგრძობს.

2 აპრილს უმაღლესმა წარმომადგენელმა კაია კალასმა და გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა მარტა კოსმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება ახალ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, მათ შორის „უცხოური აგენტების რეგისტრაციის აქტთან“ და მაუწყებლობის შესახებ კანონთან დაკავშირებით, რომლებიც პარლამენტმა სათანადო საზოგადოებრივი კონსულტაციების გარეშე მიიღო.

ეს კანონმდებლობა საქართველოს ხელისუფლებას ანიჭებს დამატებით ინსტრუმენტებს განსხვავებული აზრის ჩასახშობად და რეპრესიული პოლიტიკის გასამკაცრებლად“, – აღნიშნა **ჰანა ხალიოლ მურომ.**

ნაცფაშისტური რეჟიმის მორიგი, სისხლიანი ქრონიკები

თავისი შინაარსით და მნიშვნელოგით ერთ-ერთი უმძიმესი იყო პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის №11 სხდომა, სადაც განიხილეს გუტა როგაძიძის მკვლელოგის და ე.წ. ზილეგის რევოლუციის საქმე. სხდომა გუტა როგაძიძის მკვლელოგის საქმით გაიხსნა, რომელიც 2004 წლის 24 ნოემგერს, წერეთლის გამზირზე – დიდუგის ეკლესიის წინ მოკლეს. საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ თეა წულუკიანმა კომისიის სხდომაზე განმარტა, რომ ია მეტრეველი ერთ-ერთი პირველი მსხვერპლია „ხელი არ აგიტოპდეთ“ პოლიტიკის, გამო, მისი შვილი, სწორედ, ქუჩაში პოლიციის ხელით იქნა მოკლული სახელმწიფოს მიერ.

19 წლის შვილის მკვლელოგის დეტალეგზე საგამოძიებო კომისიის სხდომაზე ისაუგრა ია მეტრეველმა.

„სააკაშვილის მიერ იყო გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა, რომ ხელი არ აგიკანკალდეთ, ესროლეთ, რასაც მოჰყვა სწორედ ახალგაზრდების ხოცვა ქუჩებში. 162 მიჭი დახვრიტეს და მოკლეს ქუჩაში უდანაშაულოდ სწორედ იმიტომ, რომ ყოფილიყო შიში, შიშით ემართათ ქვეყანა. ეს იყო სააკაშვილის მიზანმიმართული მართვის მეთოდი. დაიწყეს ამ შიშით ქვეყნის მართვა. სწორედ ამიტომ, როგორც კი გადაურეკეს ზემდგომებს, ეს იყო ოქრუაშვილი, ერთ-ერთი მთავარი, ადეიშვილი, იქიდან მიიღეს მრძანება, მოლომდე მიიყვანეთ ყველაფერი, პატრულის იმიჯი არ უნდა შეილახოსო!

ეს იყო მათი ნამრძანები და ამის შემდეგ უკვე სცენარისტი დონაძე ჩაერთო ამ ყველაფერში. ვაკის პოლიციიდან მოზიდეს უამრავი იარაღი. ამაში უკვე ჩართეს მთელი სისტემა, ამუშავდა და დაუპირისპირდა ამ ბავშვებს. ახლაც კარგად მახსოვს, რომ ერთ-ერთ იარაღს, ავტომატს ეწერა გია, რომელიც ამოიცნო პატრონმა, რომ 15-20 წლის წინ ჩამორთმეული ჰქონდა და მისი იყო. როგორც მახსოვს, შემდეგ ეს პიროვნება მოწმედაც გამოდგა. ე.წ. ლიმონკები და მთელი არსენალი იყო, რომლებიც დაულაგეს ბავშვებს, ბუტას დაუდეს ავტომატი.

ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო მიქაძე, დონაძესთან ერთად. ყველაზე დიდი დანაშაული მათ მიუძღვით, განსაკუთრებით მიქაძეს, რომელიც იყო ქალაქის საპატრულოს უფროსი. მიქაძემ უთხრა, რომ უნდა გათამაშებულიყო სცენარი, თითქოს ავტომატიდან ბუტამ ორჯერ გაისროლა და ამის შემდეგ მოხდა უკვე გასროლა პატრულის მიერ. პატრულის იმიჯი არ უნდა შელახულიყო და ყველაფერი ამ უდანაშაულო ბავშვებს დააბრალეს“, – განაცხადა **ია მეტრეველმა.**

რობაქიძის საქმის დადგმულ სცენარზე ისაუბრა გადაცემა „პატრულის“ ყოფილმა ჟურნალისტმაც. **გოჩა მუკგანიანმა** გაიხსენა, როგორ გაყალბდა საქმე მაშინდელი ხელისუფლების დავალებით. როგორც მან აღნიშნა, მკვლელობის საქმეზე საზოგადოებას, მათ შორის საგამოძიებო სტრუქტურებს რა ვიდეომასალაც ნანახი აქვთ, არ არის დედანი, ის არის დადგმული. მისივე თქმით, ნებისმიერი ექსპერტიზით დადგენილია, რომ ვიდეოკადრები მონტაჟი იყო.

„ვიდეომასალა, რომელიც ყველასთვის ცნობილია, არის პირველადი მასალიდან, შემდეგ უკვე დავალებული, ახლიდან დადგმული, გადაღების დროს ამოღებული რაღაც კომბინაცია. მათ შორის ვერც ბრალდების მხარის, პროკურატურის და ვერც დონაძის დიდი სურვილის მიუხედავად, ვერასდროს ვერც ერთმა ექსპერტიზამ უწყვეტი კადრები ვერ დაამტკიცა, რადგან ის იყო მონტაჟი. ნებისმიერი ექსპერტიზით დადგენილია ეს. ბუტა რობაქიძის საქმეში არის ორი გასროლა ბაშალეიშვილის იარაღიდან. სინამდვილეში, ერთი გასროლა მოხდა, რომელიც იყო საბეღისწერო, მეორე გასროლა უკვე დადგმის დროს მოხდა“, – განაცხადა **გოჩა მუკგანიანმა.**

* * *

საგამოძიებო კომისიამ ე.წ. ზილეგის რევოლუციის საქმის მოწმეებსაც მოუსმინა. გესიკ და ლერი გერიტაშვილები იმ 8 პირს შორის იყვნენ, რომლებიც 2011 წელს დაკავეს.

მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტრო ირწმუნებოდა, რომ ორგანიზებულ ჯგუფს მაისის საპროტესტო აქციების დროს, თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისთვის სამხედრო მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინა. **გერიტაშვილებმა** დღეს გაიხსენეს, როგორ მოაწერინეს ჩვენებებზე ხელი ცემის, წამებისა და შვილებზე მუქარის შედეგად. ე.წ. ზილების რევოლუციის საქმეზე ისაუბრა კიდევ ორმა პირმა. **ნიკოლოზ ჯანჯალაშვილმა** და **ლევან ტერაშვილმა** დეტალურად გაიხსენეს დაკავების მომენტი, საპატიმროში ყოფნის პერიოდი და ყოფილი მაღალჩინოსნების მხრიდან არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

ოქრუაშვილის „ქართული პარტიის“ ყოფილ წევრს **ლერი გერიტაშვილს,** რომელსაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში სდებდნენ ბრალს, კომისიის სხდომაზე გლდანის ციხეში გადაყვანის ეპიზოდი გაიხსენა.

„მეოთხე დღეს გადაგვიყვანეს გლდანში და იქ უკვე კინო დაიწყო. ფიზიკურად შეუძლებელია მოყოლა, იქ რა ხდებოდა. ღამე ოლეგ ფაცაციი თუ გამოვიდოდა, უბრალოდ, სიგარეტს მოუკიდებდა და გადააგდებდა, დარწმუნებულები ვიყავით, რომ მიცვალებულს გაიტანდნენ. ოლეგ ფაცაციი იყო რეჟიმის უფროსი. ამასობაში გავიდა რაღაც პერიოდი, ეტაპობრივად გაყვანა, ცემები, მე არ გამაჩერეს კარანტინში. კარანტინში რომ შემაგდეს, სადღაც ორ საათში კარს აღებენ და მცემენ იმისთვის, რა მინდოდა კარანტინში. ერთი ადამიანის საკანს ეძახიან „ადინოჩკას“, იმაში შემაგდეს, რომ ეს აქ არ უნდა მოკვდესო. ჩემზე იყო ლაპარაკი“, – დასძინა ლერი გერიტაშვილმა.

ამასთან, ლერი გერიტაშვილმა ისაუბრა, როგორც მოხდა მისი დენით წამება.

„გვარად კვარაცხელიამ დენით იმდენი მაწამა, რომ გამიხეთქა გული, ანუ გულის უკანა კედელი გამისკდა. როგორც წნევის აპარატი – ისეთია, ორი ცალი მავთული აქვს. აწევენ, ჩაწევენ და დენი გირტყამს. მკვდარი ამიყვანეს საკანში, შემაგდეს კამერაში და პატიმრებს სთხოვეს, მოეხედათ ჩემთვის. მესამე დღეს მეუბნებიან, რომ ადმინისტრაციაში მამაოა მოსული, უნდა გადაგიყვანოთო. გადამიყვანეს, მაგრამ იქ მამაო არ დამხვდა. ვიღაც ჭაღარათმიანი კაცი იყო, არც სახელი მახსოვს, არც გვარი, მაგრამ კუდ-ში ნანახი მყავს, იქ იჯდა ერთ-ერთ კომპიუტერთან და მეუბნება, რომ შენი ჩვენება შეიცვალა. რომელი ჩვენება, რაც არ მომიცია-თქო? მითხრა, რომ ეგ შენი საქმე არ არის, უბრალოდ, საქმის კურსში გაყენებო – ასეთი პასუხი მივიღე“!..

ამავდროულად, კომისიის სხდომაზე ისაუბრა იმის თაობაზე, როგორ მიიყვანეს მისი 18 წლის შვილი ციხეში და საკნიდან აყურებდინებდნენ მისი წამებისთვის!

„ჩემი უფროსი მიჭი როდესაც გახდა 18 წლის, მაშინ გადამიყვანეს ადმინისტრაციაში, „ისევ მამაოა მოსულიო“... დამხვდა ვიღაც ახალგაზრდა მიჭი – კოჭლამაზაშვილი. მეუბნება, რომ შენ აქედან ცოცხალი ვერ გახვალ. რომ შევეკითხე – რატომ? შენ ხელს არაფერზე გვიწერო. ვეუბნები, რომ ორი კვირის წინ იყო მოსული, მითხრეს, ჩემი ჩვენება შეიცვალა, მე რომც არ არ მყოლია, უნდა, მეთქვა უარი. დათა ახალაიამ მითხრა შუბლში ტყვია მოგხვდება, ასე თუ არ გააკეთებო.

არ მახსოვს დაკავების დღეს კუდ-ში როგორ მიმიყვანეს. უკანა მხრიდან შეგვიყვანეს ყველა. უკანა კიბეებია ასასვლელი, კამერა იდგა და იღებდნენ, ჩვენ რა ფორმით შეგვიყვანდნენ კუდ-ის შენობაში. სოსო თოფურიძე რეუისორობდა. დაგვახრევინებდნენ თავებს ამ ნაცემებს, გაგვარბენინებდნენ – არ ვარგა, დაიძახებდა, წამოგვიყვანდნენ უკან მანქანაში, ჩაგვსვამდნენ და ისევ. ანუ, ეს ფილმი რომ გადაეღოთ, როგორ დაიჭირეს, რა გვქვია ჩვენ, ტერორისტები თუ რა გვქვია, დღემდე არ ვიცი, რაზე ვიყავი დაჭერილი, იქნება გავარკვიო“, – აღნიშნა **ლერი გერიტაშვილმა.**

* * *

საგამოძიებო კომისიამ მოუსმინა ე.წ. ზილეგის რევოლუციის საქმეზე გასამართლებულ ლევან ტერაშვილს, რომლის განცხადებით, ბადრაგის სამი ცვლა იყო და ყველა მათგანი წამებაში მონაწილეობდა, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ადამიანი მოხუცი იყო თუ ახალგაზრდა, რა მუხლით იყო დაკავებული, აბსოლუტურად ყველას სცემდნენ, სახელს და გვარსაც არ ეკითხებოდნენ, შემოყვანისთანავე იწყებოდა ცემა.

ჩემი კამერიდან მაყურებინებდნენ, როგორ აწამებდნენ ჩემს შვილს!

ლერი ბერიტაშვილი

"ნაციონალური მოძრაობის" დროს დაზარალებული

„ამ ბლოკში ვიყავი 15 დღე და ღამე, არ ამიყვანეს დიდ საკანში და ამ 15 დღის განმავლობაში ყველაზე დიდი უბედურება და სატანჯველი იყო, რომ საკუთარი თვალებით ვუყურებდი, როგორ აწამებდნენ ყოველდღე ხალხს. ეს იყო იმაზე უფრო რთული, ვიდრე როდესაც შენ გაყენებენ შეურაცხყოფას და გცემენ. საკანი, რომელშიც ვიმყოფებოდი ფეხის ზომით გავზომე. 39 ზომა ფეხი მაქვს და 5 ნაბიჯი მეტეოდა სიგრძეში და სამი სიგანეში, ეს იქნებოდა, ალბათ სიგრძეში 1,30 მეტრი და 0,70 სანტიმეტრი სიგანეში. სიმაღლე ნორმალური იყო, ალბათ ორ მეტრამდე. ასეთ მდგომარეობაში 15 დღე გავატარე. იქ ძილს ვერ ვახერხებდი, მუდმივად იყო შესვლა-გამოსვლა, პატიმრების გამოყვანა, წამება.

საკნის წინ იყო დაახლოებით ორი კვ.მეტრის სიგრძის მაგიდა, რაზეც პატარა ნაცრისფერ კამერას დებდნენ და იღებდნენ. ის კადრები, რაც შემდეგ გამოვიდა, მე საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, საკნის კარი დახურული არ იყო. შეგნებულად ვყავდი იქ, ამ ყველაფრისთვის რომ მეყურებინა. ერთხელ ადამიანი მიამგეს, ის ადამიანი ცემისგან, იქ ყოფნით შეიშალა. მოიტანეს სქელი რეზინის ქუდი, ჩაფხუტივით, იმიტომ რომ ეს ადამიანი ისე გაამწარეს, რომ გამორბოდა და თავით ეხეთქებოდა კედლებს, თავის მოკვლას ცდილობდა.

ვიხვეწებოდი, ექიმი მოუყვანეთ, რამე ქენით, წამალი დაალევინეთ, არავინ მიგდებდა ყურს. და ამ ყველაფრის მაგივრად, ეს ადამიანი კარზე მიამგეს, ხელბორკილები დაადეს და 24 საათის განმავლობაში იყო ასეთ მდგომარეობაში მიბმული, თავზე ის ჩაფხუტი წამოაფარეს, რომ არ მიერტყა თავი. და ასე ხუმრობდნენ, ერთობოდნენ. 15 დღის განმავლობაში უამრავ ასეთ რაღაცას ვუყურე“...

თამთა ქარჩავა

დასასრული იხ. 11 გვ.

დიდი „სავაჭრო ომები“ XIX საუკუნიდან დღემდე



აშშ-ს ხაზინის მიერ 1956 წელს გამოშვებულ საბანკო ბარათზე გამოსახული ქვეყნის 25-ე პრეზიდენტი უილიამ მაკკინლი დონალდ ტრამპისთვის, პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების საქმეში, შთაგონების წყაროა.

აშშ-ს პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ წამოწყებული სატარიფო გეწოლის ფონზე, სააგენტო „ფრანს პრესი“ იხსენებს დიდ „სავაჭრო ომებს“, რომლებიც XIX საუკუნიდან დღემდე მომხდარა.

XIX საუკუნე: „ოპიუმის ომები“

XIX საუკუნის შუა ხანებში, ოპიუმით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ორ კონფლიქტში, რომელიც ისტორიაში „ოპიუმის ომების“ სახელით შევიდა, ერომანეთს ჩინეთი და ბრიტანეთის იმპერია დაუპირისპირდნენ. პირველი კონფლიქტი 1839 წელს დაიწყო, როდესაც ბრიტანეთმა მოაწყო სამხედრო ექსპედიცია, რათა ჩინეთს თავისი ბაზარი გაეხსნა ინდური ოპიუმისთვის, რომელსაც ბრიტანელი ვაჭრები ყიდდნენ.

ამ ომში ბრიტანეთმა 1842 წელს გაიმარჯვა, თუმცა, მისი წარმატება მხოლოდ ოპიუმით ვაჭრობის ნებართვის მიღებით არ შემოიფარგლა– ჩინეთს ასევე მოუწია ჰონგ კონგის დათმობა, საერთაშორისო ვაჭრობისთვის ხუთი პორტის გახსნა და საბაჟო ტარიფების ხუთ პროცენტამდე შეზღუდვა. 1856-1860 წლებში გაჩაღებულ ოპიუმის მეორე ომში, ბრიტანეთის მოკავშირე საფრანგეთი იყო და ამ შემთხვევაშიც იმპერიულმა ძალამ გაიმარჯვა, რომელმაც აიძულა ჩინეთი, უცხოელი ვაჭრებისთვის დამატებით კიდევ თერთმეტი პორტი გაეხსნა და დასავლეთთან დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონოდა.

1890 წელი: მაკკინლის შეტევა

თავდაპირველად რესპუბლიკელმა კანონმდებელმა, მოგვიანებით კი აშშ-ს პრეზიდენტმა უილიამ მაკკინლიმ 1890 წელს ახალი კანონი მიიღო, ინიცირება, რომლის საფუძველზეც, ამერიკაში იმპორტირებულ საქონელზე საშუალოდ 50-პროცენტიანი ტარიფი დაწესდა.

ამ კანონით გათვალისწინებული გადასახადების ზრდამ ხელი შეუწყო, მაგალითად, თუნუქის ფურცლების წარმოების განვითარებას აშშ-ში, თუმცა, ამავე დროს, ფასების მატება გამოიწვია. იმავე წელს აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის არჩევნებში რესპუბლიკელებმა მარცხი განიცადეს და უმრავლესობა დემოკრატებს გადააბარეს, ორი წლის შემდეგ კი, რესპუბლიკელი პრეზიდენტი დემოკრატების ლიდერმა ჩაანაცვლა. მაკკინლის მიერ ინიცირებული არაპოპულარული კანონი 1894 წელს გაუქმდა.

მიუხედავად ამისა, 1897 წელს ის მაინც გახდა აშშ-ს პრეზიდენტი. მაკკინლი 1901 წელს, მას შემდეგ მოკლეს, რაც მეორე ვადით აირჩიეს ქვეყნის პრეზიდენტად.

1930 წელი: სმუტ-ჰოლის აქტი

სმუტ-ჰოულის აქტით, რომელიც ორი ამერიკელი პოლიტიკოსის სახელს ატარებს, 20 ათასზე მეტ იმპორტირებულ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საქონელზე თითქმის 60-პროცენტიანი ტარიფები დაწესდა.

სავაჭრო პარტნიორებმა, კანადის მეთაურობით, საპასუხო ტარიფები შემოიღეს ამერიკულ პროდუქციაზე, რის შედეგადაც, 1929-1933 წლებში აშშ-ის ექსპორტი 61 პროცენტზე მეტით შემცირდა.

XX საუკუნის 60-იანი წლები: „ქათმებით ომი“

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, საფრანგეთმა და გერმანიამ ერთობლივად გადაწყვიტეს, დაეგეგრათ აშშ-დან ქათმის იმპორტი, რომელიც ოკეანის გაღმა დიდი რაოდენობით იწარმოებოდა.

ამის საპასუხოდ, შეერთებულმა შტატებმა გადასახადები დააწესა რიგ პროდუქციაზე, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლებიც დღემდე იბეგრება. ეგრეთ წოდებული „ქათმებით ომი“ 1961-1964 წლებში მიმდინარეობდა.

1985 წელი: „მაკარონის ომი“

ეს დავა 1985 წელს დაიწყო, როდესაც პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, აშშ-ს ბაზრის დასაცავად, ევროპიდან მაკარონის იმპორტზე ტარიფები გაზარდა.

ევროპამ ამას აშშ-დან თხილისა და ლიმონის იმპორტზე გადასახადების დაწესებით უპასუხა. ჩიხი ცხრა თვე გაგრძელდა, სანამ შეერთებული შტატები და ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (EEC) – რა სახელითაც მაშინ ევროკავშირი იყო ცნობილი – შეთანხმებას მიაღწევდნენ.

1989-2009 წლები: დავა ზრდის ჰორმონების გამოყენებით წარმოებული საქონლის ხორცის გამო

1989 წელს, ევროპის ეკონომიკურმა თანამეგობრობამ ზრდის ჰორმონების გამოყენებით წარმოებული საქონლის ხორცის იმპორტი აკრძალა.

შეერთებულმა შტატებმა და კანადამ, როგორც ყველაზე მეტად დაზარალებულმა ქვეყნებმა, 1999 წელს ეს გადაწყვეტილება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) გაასაჩივრეს და 100-პროცენტიანი ტარიფები დააწესეს ევროპიდან იმპორტირებული საქონლის ფართო სპექტრზე – ფრანგული „როკფორტის“ ყველიდან დაწყებული და იტალიური ტრიუფელის სოკოთი დამთავრებული. 2009 წლის კომპრომისული შეთანხმების მიხედვით, დავა შემდეგნაირად გადაწყდა: ევროპული საქონლის იმპორტზე გადასახადები გაუქმდა, ხოლო მაღალი ხარისხის, ზრდის ჰორმონების გარეშე წარმოებული საქონლის ხორცზე დაწესებული კვოტები კი თანდათან გაიზარდა.

1993-2012 წლები: „ბანანის ომი“

1993 წელს ევროკავშირმა პრეფერენციული საბაჟო რეჟიმები მიანიჭა აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის იმ ქვეყნებს, რომლებიც ყოფილ ევროპულ კოლონიებს წარმოადგენდნენ.

ეს აზარალებდა ამერიკულ მულტინაციონალურ კომპანიებს, რომლებიც ლათინური ამერიკის ქვეყნებში ბანანის ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ რამდენჯერმე დაგმო ევროკავშირის გადაწყვეტილება და ლათინური ამერიკის ქვეყნებს საპასუხო ზომების მიღების ნება დართო. 2012 წელს ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომელიც ლათინური ამერიკის 11 ქვეყნიდან ბანანის იმპორტის ტარიფების შემცირებას და ამ ქვეყნების მიერ ევროკავშირის წინააღმდეგ ზომების მიღების შეწყვეტას ითვალიწინებდა.

2002 წელი: ბუში ევროკავშირის წინააღმდეგ

2002 წელს აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა სამწლიანი გადასახადები დააწესა 10 კატეგორიის პროდუქტის იმპორტზე, მათ შორის – ბრტყელი ფოლადზე, დაწნულ მავთულსა და შედუღებულ მილებზე.

ეს ზომები, რომლებიც მიზნად ისახავდა აშშ-ს ფოლადის ინდუსტრიის გაძლიერებას, იმპორტის თითქმის 29 პროცენტს შეეხო. აღნიშნულის გამო, ევროკავშირმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საჩივარი შეიტანა და აშშ-ში წარმოებული იმ პროდუქტების სია გამოაქვეყნა, რომლის 100 პროცენტამდე საპასუხო დაბეგვრით დაიმუქრა. ამ ვითარებაში, ბუშმა, 2003 წლის ბოლოს, სამწლიანი გადასახადების გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო.

ტრამპი: ტარიფების დაწესების გამო, ქვეყნები უკანალზე მკოცნიან!

აშშ-ის პრეზიდენტი, დონალდ ტრამპი აცხადებს, რომ რაც მან მთელ მსოფლიოში სავაჭრო პარტნიორებზე ყოვლისმომცველი ტარიფები დააწესა, ქვეყნები „უკანალზე კოცნიან“, – ამის შესახებ „სიენენი“ წერს.

პრეზიდენტის თქმით, იგი დარწმუნებულია თავის გადაწყვეტილებებში და იცის, რასაც აკეთებს.

„ჩემი აზრით, სავაჭრო ომი მსოფლიოსთან ერთად სულაც არ არის ომი, რადგან ყველა მათგანი აქ ჩამოდის. იაპონია მოდის ახლა აქ. ისინი ყველანი ხისტი მომლაპარაკებლები არიან. გეუბნებით, ეს ქვეყნები გვირეკავენ, უკანალზე მკოცნიან. შეთანხმების დადებას ცდილობენ“, – განაცხადა ტრამპმა. მანამდე, ამავე დღეს, თეთრი სახლის პრესმდივანმა კეროლაინ ლივიტმა თქვა, რომ აშშ-სთან შეთანხმების დადების მიზნით "ტელეფონებზე ზარები არ წყდება".



ჩინეთი 10 აპრილიდან აშშ-დან ყველა იმპორტზე სატარიფო განაკვეთს 34 პროცენტიდან 84 პროცენტამდე გაზრდის!

ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს საბაჟო ტარიფის კომისიამ დაგმო აშშ-ის საპასუხო ტარიფები და მას შემდგომი შეცდომა უწოდა, რომელიც სერიოზულად არღვევს ჩინეთის ლეგიტიმურ უფლებებსა და ინტერესებს და წესებზე დაფუძნებულ მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას ძირს უთხრის.

„საბაჟო კანონის, იმპორტისა და ექსპორტის სატარიფო რეგულაციების, ჩინეთის საგარეო ვაჭრობის კანონისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების შესაბამისად და სახელმწიფო საბჭოს თანხმობით, ჩინეთმა მიიღო გადაწყვეტილება, აშშ-დან წარმოშობილ ყველა იმპორტზე დამატებით 50-პროცენტიანი ტარიფი დაწესდეს – განაკვეთი 34 პროცენტიდან 84 პროცენტამდე გაიზარდოს“, – ნათქვამია საბჭოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ევროპის კონტრზომები შეჩერდება, თუ...

25%-იანი ტარიფის დაწესება ევროკავშირის მხრიდან საპასუხო ზომების პირველი ნაბიჯია და თეთრი სახლის ადმინისტრაციის მიერ 26 მილიარდი ევროს ღირებულების ალუმინსა და ფოლადზე მარტში დაწესებული ტარიფების გამო შემუშავდა.

„ევროკავშირი აშშ-ის ტარიფებს გაუმართლებლად და საზიანოდ მიიჩნევს, რაც ეკონომიკურ ზიანს აყენებს ორივე მხარეს და ასევე, გლობალურ ეკონომიკას. ევროკავშირმა გამოაცხადა თავისი მკაფიო უპირატესობა შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების შედეგების პოვნაზე, რომელიც იქნება დაბალანსებული და ორმხრივად მოგებიანი“, – აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.

წევრი სახელმწიფოების მიერ დღევანდელი კენჭისყრა ნიშნავს იმას, რომ – კომისიის შიდა პროცედურების დასრულების და განმახორციელებელი აქტის გამოქვეყნების შემდეგ – კონტრზომები შევა ძალაში. გადასახადების აკრეფა 15 აპრილიდან დაიწყება. ევროკავშირის წევრი ქვეყნების განცხადებით, ეს კონტრზომები შეიძლება, ნებისმიერ დროს შეჩერდეს, თუ აშშ სამართლიან და დაბალანსებულ მოლაპარაკების შედეგს დათანხმდება.

ილია კივა:

უკრაინა დღეს არის დიდი კონცლაგერი, სადაც თარეშობს კორუფცია და ქაოსი

როგორ მდიდრდება ზელენსკი და მისი გარემოცვა უკრაინის განადგურებით!!!

ელენა ზელენსკა და ვოლოდიმირ ზელენსკი

კანადური დამოუკიდებელი მედიაკვლევის ჯგუფის „Global Research Daily Newsletter“-ის ცნობით, ზელენსკიმ და მისმა ხელისუფლებამ იარაღის გადაყიდვით მიიღო 12 000 000 000 დოლარის მოგება.

უკრაინელმა ჟურნალისტებმა აღმოაჩინეს დოკუმენტები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ უკრაინის არმიისთვის მისაწოდებელი საკვების შესაძენი თანხებიც კატასტროფულად იყო გაბერილი, მაგალითად, ერთი ცალი ქათმის კვერცხი 18 გრივნად იყო შესყიდული, მაშინ, როცა ერთი ცალის ფასი 7 გრივნაზე მეტი არ შეიძლება იყოს. ინფორმაცია თავიანთ ჟურნალისტურ გამოძიებაში დაადასტურეს „The Guardian“-ის ბრიტანელმა ჟურნალისტებმაც.

კიევის ხელისუფლების უმაღლესი პირების კორუფციის დასამტკიცებლად ჩატარებული მრავალრიცხოვანი ჟურნალისტური გამოძიების შესახებ ზელენსკიმ და კამპანიამ 2023 წელს „გაიგო“ და ოქტომბერში გაათავისუფლა თანამდებობიდან თავდაცვის მინისტრი **ალექსეი რეზნიკოვი,** ოფიციალურად საკუთარი განცხადების საფუძველზე, ანუ საკუთარი სურვილით.

ახლა თავდაცვის მინისტრი კანში თავის ფრანგულ ვილაში ცხოვრობს, რომელიც 7 000 000 დოლარი ღირს და თავის დროზე ქალიშვილს უყიდა...

ჟურნალისტური კვლევის დროს ბრიტანელმა ჟურნალისტებმა ყოფილი მინისტრის – **ალექსეი რეზნიკოვის** საშემოსავლო დეკლარაციაც მოიძეს, რომელიც იმდენად მოკრძალებულია, რომ წელიწადში 60 000 გრივნას შეიცავს, რაც 26 000 დოლარია! ამ შემოსავლით მას ის ქონება რომ შეეძინა, რაც დღეს აქვს, თითქმის 270 წელიწადი უნდა ეცხოვრა. ამით არ ამოიწურება უკრაინაში არსებული საომარი მაქინაციები, ქვეყანაში, რომელსაც თვით უკრაინელები უფრო მეტ ზიანს აყენებენ, ვიდრე რუსული არმია.

ქოლცენტრები მაღალი ეშელონების წარმომადგენლებისთვის მთავარი შემოსავლის წყაროა, რომლებიდანაც სატელეფონო ზარებით ატერორებენ რუსეთისა და უკრაინის მშვიდობიან მოქალაქეებს, თუმცა შემოსავლის მდინარე მაინც ნარკოტრეფიკიდან მოდის, რის განსახორციელებელადაც შექმნილია სპეციალური ქარხანა „ქიმპრომი“. ნარკოკარტელის მფლობელია **იგორ გურკინი,** უკრაინული პასპორტით, ლევჩენკო.

2019 წლის მარტში ორი თვით ადრე ხელისუფლებაში ზელენსკის მოსვლამდე ბურკინის დაკავების ოპერაცია განხორციელდა. **PH TB**-ს ინფორმაციით, უკრაინის პროკურატურამ აღმოაჩინა 15 ოფისი, დააკავა ჯგუფის 30-ზე მეტი წევრი, ამოიღეს ტონობით ნარკოტიკი, იარაღი და ასაფეთქებელი ნივთიერებები. მაშინ ბურკინმა მოახერხა სასჯელისგან თავის დაღწევა. ახლა ის ნარკოკარტელს მექსიკიდან დისტანციურად ხელმძღვანელობს. მას, როგორც **PH TB** აცხადებს, ზელენსკის გარემოცვა მფარველობს ნდობით აღჭურვილი პირის მეშვეობით და ეს პირი არის სახალხო რადას დეპუტატი **ნიკოლაი კიშჩენკო.**

აღმოჩნდა, რომ ამ საქმეში გარეულია კიდევ ერთი ქართველი, კრიმინალური ავტორიტეტი მერაბ ლომსაძე, მეტსახელად „ბასმაჩა“, რომელიც უკრაინაში ტვირთების გადაზიდვის ფირმას ხელმძღვანელობდა. ტელეკომპანია **PH TB**-ის თუ დავუჯერებთ, მერაბ ლომსაძეს ნაცნობობა და ბიზნესსაქმიანობა აკავშირებს მამუკა მამულაშვილთან და თვით მიხეილ სააკაშვილთანაც კი.

სხვათა შორის, ეს ის მამუკა მამულაშვილია, რომელიც აგვარებს ქართველი ბოევიკების მოხვედრის პროცედურებს საომარ პროცესებში უკრაინაში.

ერთ ტელეეთერში **მერაბ ლომსაძე** ყვება, თუ როგორაა აგებული ნარკოტიკების ტრანსპორტირების სისტემა ქვეყნის შიგნით, რადგან თვითონ იყო ამის მონაწილე.

PH TB-ს ცნობით, „ერთხელ მინივენით, რომელიც შეუკვეთა „კვარტალი 95“-მა, მან გადაიტანა დეკორატიული ხის ნაკეთობები. მისივე თქმით, ლომსაძემ შეამჩნია, რომ საქონელი, რომელიც დანიშნულების ადგილზე უნდა მიეტანათ, გადატვირთეს პირდაპირ ტრასაზე, ჩვეულებრივ ავტობუსში, რომელსაც „95 კვარტალი“ ეწერა. ამ ლოგოთი მოძრავ ტრანსპორტზე ხელშეუხებლობის გარანტია იყო გაცემული.

ბინები კიევში

ლომსაძემ გადაწყვიტა, გაეგო, რაში იყო საქმე და აღმოაჩინა, რომ ხის ნაკეთობები ერთგვარი შენიღბვა იყო ნარკოტიკების გადასაზიდად“.

„გავხსენი შეფუთვები და აღმოვაჩინე ნარკოტიკი. მოჩუქურთმებული, ორმეტრიანი ფიცრების ქვეშ ნარკოტიკები ეწყო პაკეტებში“. – ამბობს **ლომსაძე.**

პრობლემებისგან თავის არიდების მიზნით ლომსაძემ, **PH TB**-ის ინფორმაციით, კონტრაქტზე უარი თქვა, მაგრამ დამკვეთებმა საპასუხოდ შეხვედრის ადგილი დაუთქვეს.

შეხვედრა უჩვეულო ადგილას, ოდესასთან ახლოს, სასაფლაოზე შედგა, თუმცა რაც იქ მოხდა, ლომსაძე ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა.

მერაბ ლომსაძე ჰყვება: **„სასაფლაომდე დიდი მოედანია, იქ ყვავილებს ჰყიდიან. მოვიდა მანქანა. მანქანაში მჯდომებმა მითხრეს: წადი იქ! მე მივედი მითითებულ ადგილზე და, ღმერთო დამიფარე, დავინახე ვოლოდიმირ ზელენსკი. მან პირდაპირ მომმართა: არავინ არ უნდა იცოდეს ამის შესახებ. ხომ წარმოგიდგენია, რა დონის და რანგის ადამიანები შეიძლება იდგნენ ჩემ უკან?!**

შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ლაპარაკობდა მოკლე სიტყვებით, ჩქარ-ჩქარა, გაფართოებული თვალებით, ცივი მზერით და ხელების მოშველიებით, თითქოს რაღაცის დამტკიცება უნდოდა ჩემთვის, ანუ, როცა ადამიანს რაიმეს უმტკიცებ და რომ გინდა, სრულად გაიგოს ყველაფერი“.

ილია კივა, უკრაინის უმაღლესი რადას მე-9 მოწვევის დეპუტატი: – **„დღეს უკრაინულ ნარკოკარტელს ხელმძღვანელობს უკრაინის დაზვერვა და უკრაინის თავდაცვის სამინისტრო. სინთეტიკური ნარკოტიკები მზადდება კიევის, ნიკოლაევის, დნეპროპეტროვსკის სიახლოვეს და ეს არ არის ლაბორატორია, ეს არის ფაბრიკა, რომელიც აწარმოებს სიკვდილს. უკრაინა დღეს არის დიდი კონცლაგერი, სადაც თარეშობს ქაოსი, კრიმინალები თავისუფლად დადიან, არღვევენ კანონს, მორალს და ამდიდრებენ მათ, რომლებიც ამ ქაოსს აკონტროლებენ“.**

რაც შეეხება თვით ზელენსკის ქონებას, იგი ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება და მოიცავს 1 მილიარდ 200 000 000 დოლარს. თუ ამ თანხას შევადარებთ მთლიანად დახმარებებს, რომლებიც დასავლეთიდან წამოვიდა უკრაინის ხელმძღვანელობისთვის, გახლავთ 113 მილიარდი დოლარი და აქედან ზელენსკის წილი თანხის ნახევარია პროცენტული გაანგარიშებით, თუმცა ზელენსკის გარემოცვაც არ დარჩენილა გულდაწყვეტილი.

ილია კივა: „ისინი თვეში მილიარდ დოლარს გამოიმუშავებენ. დიახ, თვეში და არა წელიწადში და ისინი უკვე დიდი ხანია, არიან ძალიან, ძალიან მდიდარი ადამიანები“.

ამ საომარი კონფლიქტის დაწყების შემდეგ ყველაზე დიდი შენაძენი, რაც ზელენსკის სახელზეა, გახლავთ საიდუმლო ანგარიშზე არსებული თანხა კოსტა-რიკას ბანკში, ვილა მაიამიში, რომლის ღირებულება 34 მილიონი დოლარია, ასევე უზარმაზარი აგარაკი წითელი ზღვის ნაპირას, ულამაზესი ვილა, სახურავზე აუზით, ეგვიპტის ყველაზე პრესტიჟულ ნაწილში. ზელენსკის აქაც „გაუმართლა“, მან ბინა ეგვიპტეში ჰოლივუდის ვარსკვლავის **ანჯელინა ჯოლის** ვილასთან ახლოს შეიძინა. ახლა „ზელე“ და ანჯელინა მეზობლები არიან.

ამ ვილის ღირებულება 150 000 000 ეგვიპტური ფუნტი, ანუ 5 000 000 დოლარია. ამის შესახებ საიდუმლო ინფორმაციები ეგვიპტელმა ჟურნალისტმა **მუჰამედ ალავიმ** გაავრცელა. იგი შემდეგ შეეწირა კიდევაც ამ ჟურნალისტურ გამოძიებას. ჟურნალისტი ააფეთქეს...

მუჰამედ ალი ალავი: „ვილის მფლობელის სახელი და გვარია **ოლგა პიაშპა.** ის უკრაინის პრეზიდენტის სიდედრია. 2023 წლის 16 მაისს მან ხელი მოაწერა ვილის ყიდვის დოკუმენტებს“.

ამას გარდა ზელენკების ოჯახს ვილა აქვთ იტალიაში, 9 სასტუმრო ოთახით, 4 ბინა კიევში და 353 კვ.მ სახლი უკრაინის დედაქალაქთან ახლოს.

ილია კივა: „ამ ხელისუფლების წარმომადგენლებიდან არც ერთი არ აპირებს უკრაინაში დარჩენას, თითოეული მათგანს გამზადებული აქვს პასპორტები, უძრავი ქონება საზღვარგარეთ და ხელშეუხებლობის გარანტიები, რომლებიც მათ ნატოს ქვეყნებიდან მისცეს“.

ამასობაში ვოლოდიმირის მეუღლე **ელენა ზელენსკა** საკუთარ თავს ანებივრებს. **PH TB**-ის ინფორმაციით, მან ნიუ-იორკში შეიძინა თეთრი ოქროს სამაჯური ბრილიანტებით, საყურე 341 000 დოლარის ღირებულების და 339 000 დოლარიანი ზურმუხტისა და ბრილიანტის თვლებით მორთული თეთრი ოქროს ყელსაბამი (კოლიე).

დეკლარაციის მიხედვით, ელენა ზელენსკას შემოსავლები წელიწადში 953 000 გრივნაა, თუ მთლიანად დავთვლით, პრეზიდენტის ოჯახის სრული შემოსავალი 250 000 დოლარია. ამ თანხით მხოლოდ საყურესაც კი ვერ იყიდდა ნიუ-იორკის საიუველირო სალონში ელენა ზელენსკა.

საინფორმაციო წყაროების ცნობით, პრეზიდენტის ოჯახის შემოსავლების შესახებ დეკლარაცია შევსებულია 2021 წლის ჩათვლით. ომის დაწყების შემდეგ უმაღლესმა რადამ სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება მთავრობის წევრების ქონებრივი დეკლარაციების შევსების აკრძალვაზე, თუმცა დაინტერესებული პირი მაინც ვერ იპოვის 2021 წლისგან არსებით განსხვავებას ვოლოდიმირ ზელენსკის შემოსავლების შესახებ, როგორც ჩანს, უკრაინის პრეზიდენტი მაქსიმალურად ცდილობს დამალოს შემოსავლები, მაგრამ, როგორც ჩვენში იტყვიან, ქვეყანა ჩალით არაა დახურული და იტალიური მედია-გამოცემის „ტირენოს“ რეპორტიორები დაინტერესდნენ ზღვისპირა ქალაქ

მერაბ ლომსაძე



ჯეფრი საქსი

კლ. მორისი

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №52

ფორტე დელ მარმეში არსებული ულამაზესი ვილით, რომელიც აღმოჩნდა, რომ ვოლოდიმირ ზელენსკის ეკუთვნის. ჟურნალისტური კვლევის პროცესში ცხადი გახდა, რომ ვილა თვეში 50 000 ევროდ ყოფილა გაქირავებული რუს წყვილზე.

ხმამაღლა ამაზე ამერიკული ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ წამყვანი **კლეიტონ მორისი** ალაპარაკდა სულ ახალხან, მიმდინარე წლის 4 მარტს.

„ზელენსკი მშვიდობის დამყარებით დაინტერესებული სულაც არ არის. მას არ აინტერესებს უკრაინის აღმშენებლობა, მას მხოლოდ და მხოლოდ მეტი ფული და იარაღი სურს...“ – თქვა **კლეიტონ მორისმა** თავის TIK-TOK გვერდზე.

ზელენსკი აქირავებს ბინას რუსებზე, დანარჩენ მსოფლიოს და ქართველებს კი მოგვიწოდებს, არ ვიქონიოთ საქმე რუსებთან, შევუერთდეთ სანქციებს და რუსეთს ომს თუ გამოვუცხადებთ, მთლად უკეთესი იქნება. გუშინწინ სოციალურ პლატფორმა TIK-TOK-ზე მამა ევგენის საუბარს გადავაწყდი. ის აღშფოთებული აცხადებს, რომ გარკვეული ხნის წინ კურსკის ოლქის ქალაქ სუჯის მცხოვრებლებისთვის რუსების ოჯახების გაძარცვაში ხელშეუხებლობის გარანტიად ზელენსკის მეგობრები აბონემენტებს არიგებდნენ.

„უკრაინელები იძლეოდნენ ტურების საზუთებს სუჯის ოლქის მცხოვრებლებისათვის, თვით ქალაქ სუჯის გაძარცვისთვის, რომ შესულიყვნენ ნებისმიერ სახლში და გაეძარცვათ და წამოეღოთ სახლებიდან ყველაფერი, რაც მოეწონებოდათ. დიახ, ეს იყო თანხაგადახდილი ტურისტული ტური ძარცვისთვის“. – ამბობს **მამა ევგენი.**

* * *

2022 წელს დაწყებული ომი უკრაინაში უკვე ცხელ ფაზაში იყო შესული, როცა საქართველოს ომისკენ მოუწოდეს უკრაინის მთავრობიდან. ოპოზიციურად განწყობილი ქართველი პოლიტიკანებიც ამას ამბობდნენ ხან ხმამაღლა, ხან – გადაკვრით: ახლა დადგა დრო, რუსეთს „დავარტყათ“, რომ სეპარატისტული რეგიონები დავიბრუნოთო.

რამდენიმე მოკლე აზროვნების მქონე, იმასაც ამტკიცებდა: **ჩვენ თუ აქედან შევუტევთ რუსეთს, იქიდან უკრაინა, უფრო შორიდან კი დასავლეთი და აშშ საერთაშორისო დონეზე მიაყენებენ სასიკვდილო დარტყმებს, რუსეთს გავანადგურებთ, შევისხამთ ფრთებს და გავიშლებით ნიკოფსიიდან დარუბანდამდეო.**

ახლახან მოვუსმინე ცნობილი ამერიკელი მემარცხენე რადიკალის, პროფესორი ჯეფრი საქსის ძველ განცხადებას. ის ამბობს, რომ 2008 წელს აშშ-მა ევროპარლამენტში გააჟღერა მოსაზრება, რომ ნატო უნდა გაფართოებულიყო უკრაინისა და საქართველოს ხარჯზე.

ერთი თვის შემდეგ დაიწყო ომი, რადგან აშშ-მა უთხრა ყმაწვილ სააკაშვილს: **„ჩვენ დავეხმარებით საქართველოს“.**

სააკაშვილი დაეყრდნო საერთაშორისო ურთიერთობებს და განაცხადა: **„საქართველო იმყოფება ევროპის ცენტრში!“ მაგრამ, ბატონებო და ქალბატონებო, ეს ასე არ არის, საქართველო არ არის ევროპის ცენტრი და მოლოდროინდელი მოვლენები არ წაიყვანს მას წინ... თქვენი დეპუტატები, ევროპელი პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოს მიაქანებენ კონფლიქტისკენ, ვერ უშველიან საქართველოს – მათ ეს ქვეყანა განადგურებისკენ მიჰყავთ, სრული განადგურებისკენ“...**– ამბობდა 2008 წელს **ჯეფრი საქსი.**

– აბა, ომი გინდათ? – სარკაზმით გაჟღენთილი ეს უბედურებისმომცველი შეკითხვა კარგა ხანს საღლაბუცო ტერმინი და ე.წ. საგზიტო ბარათი იყო და მგონი, ახლაც არის ოპოზიციურად განწყობილი ადამიანებისთვის.

– დიახ, ომი მინდა, თუ საჭიროა, უნდა ვიომოთ! – ყვირის ისტერიულად, ქალაქ თბილისის ყოფილი მერი **გიგი უგულავა** თან მუშტებს იქნევს და თან თვალებს პრაწავს, მას კვერს უკრავს რამდენიმე მისნაირი ფლაყვი, რომლებსაც, ვფიქრობ, ფეხებზე ჰკიდიათ, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს ომმა, მით უმეტეს, თუ აქედან მოგებასაც ნახავენ.

ხომ ხედავთ, რამხელა მოგებაზე და რა უზარმაზარ ფულზე მიდის გრძოლა უკრაინაში „სამშობლოს დაცვის“ მოწოდებების ფონზე? აი, ეს უნდოდათ აქ, ფული უნდოდათ და სიმდიდრე, რომ მერე გაქცეულიყვნენ ქვეყნიდან და დაქცეული და იავარქმნილი საქართველო ჩვენ გვეტირა, ჩვენ, ომისგან თითო-ოროლად გადარჩენილებს, დაღუპული ქვეყნის შვილებს. ამიტომ გვინდა მშვიდობა და მადლობა ამისთვის, ვინაც მშვიდობა უზრუნველყო საქართველოში!..

ირანდა კალანდაძე

პატივი მივაგოთ გენიალურ რუსთაველს და დავამშვენოთ თბილისის ცენტრი!



დაახლოებით ასეთი იქნება რუსთაველის თბილისური კომპოზიციის პროექტი

საქართველოს პრემიერ-მინისტრს

ბ-ნ ირაკლი კობახიძეს,

ქალაქ თბილისის მერს

ბ-ნ კახა კალაძეს

ძვირფასო ბატონებო!

მოგეხსენებათ, რომ მეტროს სადგურ „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე „ვეფხისტყაოსნის“ არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიციის განთავსების შესახებ თქვენთან სარეკომენდაციო წერილით შემოვიდა კოლხეთის (ფაზისი) საერო სამეცნიერო აკადემია. შუამდგომლობას ხელს აწერს აკადემიის პრეზიდენტი, ქართული პოეზიის რაინდი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე **ვაჟა ეგრისელი**.

აქვე დაბეჭდილ სურათზე ნაჩვენები შენობის კომპოზიციის შექმნის ინიციატორია ამავე აკადემიის წევრი, ცნობილი ნოვატორი, გამომგონებელი, ქართული ვაზის დიდი მესაიდემლე **თამაზ ქვლივიძე** და იგი ეძღვნება შოთა რუსთაველის დაბადებიდან 860 წლისთავს, რომელიც მომავალ 2026 წელს უნდა აღინიშნოს.

როგორც ფაზისის საერო აკადემიაში გვითხრეს, დედაქალაქის მერია ოპერატიულად გამოეხმაურა აღნიშნული პროექტის განხორციელების იდეას, მერიის კულტურისა და განათლების საქალაქო სამსახურიდან მათ გადასცეს სპეციალური ფორმა (დანართი #1), რომელიც ჩაბარდა ადრესატს და ახლა ვეღოდებით თანხმობას პროექტის შედგენა-განხილვა-განხორციელების შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი პედაგოგიკის სამეცნიერო ინსტიტუტის ტერიტორიაზე, (ე. წ. კოსტავას ეზოში) ღია ცის ქვეშ, „ვეფხისტყაოსნის“ მუზეუმის მოწყობა-დაფინანსებას მთლიანად კისრულობს კეთილშობილი ქართველი მიზნესმენი, მევენახეობა-ღვინე თამაზ ქვლივიძე, რომელსაც დიდი სურვილი აქვს გამორჩეული საჩუქარი უძღვნას საკუთარ სამშობლოს და პატივი მიაგოს შოთა რუსთაველს, მის გმირებს და „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეს.

გულწრფელი მადლობა მას.

აქვე შეგახსენებთ, რომ თამაზ ქვლივიძე ავტორია 850 შესანიშნავი პოეტური სტრიქონისა, რომელიც დიდ შოთა რუსთაველს ეძღვნება.

ბუნებრივია, ამ პროექტის განორციელებით, გარდა ჩვენი ცნობადობის ამაღლებისა, ქვეყანაში შეიქმნება სამუშაო ადგილები, გაიზრდება ტურისტული ნაკადები და საბიუჯეტო შემოსავლები. დარწმუნებული ვართ, ეს პროექტი მთელი ქვეყნისთვის მრავალმხრივ სასარგებლო გახდება იმითაც, რომ შესაძლებელი იქნება გაიხსნას სკოლა პოეზიით, მწერლობით „ვეფხისტყაოსნით“ დაინტესებული მოსწავლე-ახალგაზრობისთვის, შენობის ნაწილი კი დაეთმოს რუსთაველის გენიალური ქმნილების მოტივებზე შექმნილ ნახატებსა და გამოცემებს, ქართული კულტურის რუსთაველურ საგანძურს!

ასევე ჩვენთვის ცნობილია, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელებას მიესალმებიან და მხარს უჭერენ ცალკეული, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები და რიგითი მოქალაქეები.

უმორჩილესად გთხოვთ, განიხილოთ ეს წინადადება და გაითვალისწინოთ როგორც ჩვენი, ამ წერილზე ხელისმომწერთა, ისე მოსახლეობის აზრი. მით უფრო, რომ დედაქალაქის მერია ახლო მომავალში იწყებს რუსთაველის პროსპექტის გენერალურ რეკონსტრუქციას.

პატივისცემით –

ზაურ ხაჩიძე,

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მამული, ენა, სარწმუნოების“, თავმჯდომარე;

აპოლონ გადელია,

საქართველოს პენსიონერთა საერთაშორისო კავშირის თავმჯდომარე;

ვასილ კადენეცი,

საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ფონდი „კამანის“, თავმჯდომარე.

07.04.2025 წ.

დემონისეული ირონია

უცხო სიტყვათა ლექსიკონი (თბილისი, 1989 წ.) ასე განმარტავს ირონიას: „ფარული, ოდნავ შესამჩნევი დაცინვა“. ფილოსოფიის და ლიტერატურის ისტორიამ იცის კეთილშობილური მიზნებიც, როდესაც იყენებდნენ ირონიას. მაგ., „სოკრატეს ირონია“... მაგრამ, ამ შემთხვევაში, წერილის დასაწერად მიბიძგა კარლ შმიტის ჩანაწერმა თავის დღიურში, სადაც ირონია დემონისეულ ნიშნებს იძენს: „ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲘᲠᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲣᲡᲢᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲨᲘ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲡ, ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ ᲨᲔᲛᲖᲐᲠᲐᲕ ᲡᲘᲡᲐᲡᲢᲘᲙᲔᲡ, ᲔᲛᲐᲙᲔᲣᲚᲝᲑᲐᲡ, ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ, ᲡᲘᲒᲘᲟᲔᲡ“.

ᲐᲮᲚᲐ ᲕᲘᲙᲘᲗᲮᲝᲗ: ᲐᲠᲘᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲝᲛᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ?

რა თქმა უნდა, არის.

და აი მე ვამტკიცებ, რომ დღიდან საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადებისა (1991 წ.), ყველა პრეზიდენტი მასზე მინდობილ, მიამიტ და ერთგულ ხალხს „ფარულად დასცინოდა“. ასეთი ირონიის მატარებელი, თავის თავს განიხილავს, როგორც ერთადერთს, როგორც მიუწვდომელს, როგორც ღმერთს. კ. შმიტი აქ იყენებს სპინოზას გამონათქვამს: Deus sive Natura=„ღმერთი ან ბუნება“, ანუ ბუნება თავად არის ღმერთი და, ვიმეორებ, ასეთი ირონიის მატარებელი თავად მიიჩნევს თავის თავს ღმერთად. ცხადია, არავითარი სხვისი „მე“-ს შემოჭრას თავისი ინტერესების სფეროში იგი არ დაუშვებს. სწორედ ამით აიხსნება, რომ მიუხედავად იდენტური პოლიტიკური მიზნებისა, ს. ზურაბიშვილმა არ გაათავისუფლა მ. სააკაშვილი, არ „შეიწყალა“.

მაგრამ განა ასეთი ირონიის მატარებელი არ არის ჩვენში ყველა პარტიის ლიდერი?! თუმცა აქ იწყება ყველაზე საინტერესო. ასეთი ირონიის მატარებელი მისდა უნებურად გადადის Hybris-ში. ეს ბერძნული სიტყვა ნიშნავს დანაშაულებრივ მედიდურობას და მისი ირონია ხდება უკვე დამცინავი, ღვარძლიანი ირონია ანუ სარკაზმი. ეს იგივეა, როდესაც ლიდერი უკვე გულში ხარხარებს მასზე მინდობილ, მიამიტ და საწყალ ხალხზე. მაგრამ აქაც ხდება საინტერესო რამ. ასეთი ლიდერი, ბელადი თუ პრეზიდენტი აუცილებლად ეხვევა „ბედისწერის ირონიაში“ (G. von Wilpert, Sachwoerterbuch der Literatur, Stuttgart 1969, გვ. 361), რაც ხშირად ტრაგედიით მთავრდება. აქ უკვე მკითხველს მივანდობ, გაიხსენოს მსგავსი შემთხვევები ისტორიიდან და ლიტერატურიდან. მაგრამ ამ გაგებით განსაკუთრებით გამოვყოფდი ჩვენი დამოუკიდებლობის პერიოდს (1991-2025).

უკვე არაერთგზის ვიხილე ტელევიზიით გამოსული ტელეწამყვანი და ვიღაც პროფესორები ჭკვიანი სახეებით, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თვით ასეთი პრეზიდენტების წინააღმდეგ აჯანყებამ საქართველოს კარგი არაფერი მოუტანა, მისი სახელმწიფოებრიობა „შეარყია“ და ა. შ. ამ დროს, ამ აჯანყებებს ხან რუსეთს აბრალებენ, ხან ამერიკას – თავიანთი პოლიტიკური სიმპათიების მიხედვით. ასეთი მიამიტური მსჯელობა ყოველთვის გულს მირევს და ამიტომ მცირეოდენ შუქს შევიტან ამ საკითხში.

იხ. 8 გვ.

Hamish de Bretton-Gordon
Ukraine is undefeatable

The UK and Europe can help Ukraine prevail with or without Trump

Hamish de Bretton-Gordon

Related Topics
Explained Ukraine war, Russia-Ukraine war, Vladimir Putin, Donald Trump

07 April 2025 6:03pm BST

492

ბრიტანულ გაზეთ **„დეილი ტელეგრაფში“ (The Daily Telegraph)** გამოქვეყნდა სტატია სათაურით **„უკრაინა უძლეველია: დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი შეძლებენ კიევის დახმარებასა და ომში გამარჯვებას – დონალდ ტრამპთან ერთად თუ მის გარეშე“** (ავტორი – **ჰემიშ ბრეტონ-გორდონი** – პოლკოვნიკი, სამხედრო ექსპერტი).

გთავაზობთ პუბლიკაციას: The Daily Telegraph

უკრაინა უძლეველია...

გაზაფხულის მშვენიერი დღეები დგას, მსოფლიო კი თითქოსდა უღიმღამოდ გამოიყურება, არასახარბიელო სიტუაციის გამო. პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ცდილობს მსოფლიო ეკონომიკას ძირი გამოუთხაროს დევიზით „დავუბრუნოთ ამერიკას ძველი დიდება“! უკრაინაში ომი მობოქრობს, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კი აბსოლუტურად არანაირ სურვილს არ ამჟღავნებს მშვიდობის დამყარებისათვის – იგი კლავს ასობით მშვიდობიან ადამიანს ომის დევიზით და თანაც ამას აკეთებს ვოლოდიმირ ზელენსკის მშობლიურ ქალაქში – კრივოი როგში. როგორც ჩანს, იგი ფიქრობს, რომ ომში იმარჯვებს.

მაგრამ ყველაფერი მთლიანად ისე განწირული არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ამის იმედს გვაძლევს დორსეტის საგრაფო - ლოურენს არაბის (თომას ლოურენსის - ცნობილი ბრიტანელი მოგზაურის, ოფიცრისა და დიპლომატის) სამშობლო, რომელმაც უფრო მეტი იცოდა საომარ პერიოდში მშვიდობისმყოფლობაზე (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში), ვიდრე დღეს იცის აშშ-ის პრეზიდენტმა. რატომ დორსეტი? იმიტომ, რომ აქ არის დისლოცირებული სამეფო ჯავშანსატანკო კორპუსი და არის სატანკო მუზეუმიც, სადაც გასულ კვირაში უკრაინის არმიის წარმატებების ამსახველი გამოფენა გაიხსნა, გენერლისა და დიპლომატის ვალერი ზალუჟნის თაოსნობით.

გამოფენაზე, რომლის ექსპონატებს უკრაინული იარაღი (და დამსხვრეული რუსული) ტანკები წარმოადგენდნენ, გენერალი **ვალერი ზალუჟნი** ზომიერი და სახელმწიფო მოღვაწისათვის შესაფერისი სიტყვით გამოვიდა. მან თქვა, რომ უკრაინა აგრძელებს აღმოსავლელი ტირანის წინააღმდეგ ბრძოლას და მანამდე იბრძოლებს, სანამ საჭირო იქნება. მისი გამოსვლა მკვეთრად განსხვავდებოდა თეთრ სახლში მჯდომი პიროვნების ტრაგახისა და ბლეფისაგან, რომელიც მოსყიდვებით ცდილობს „უკრაინის საშინელი ომის“ დასრულებას. გენერალმა ნათლად აღნიშნა, თუ რა დიდი როლი მიუძღვის დიდ ბრიტანეთს ათასობით უკრაინელი ჯარისკაცის წვრთნასა და აღჭურვაში. ამისათვის მან მადლობა გადაუხადა როგორც ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბორის ჯონსონს, ისევე ამჟამინდელს – კირ სტარმერს, რომელიც ევროპას კრემლის ტირანის წინააღმდეგობისაკენ მოუწოდებს.

უკრაინა დიდი ბრიტანეთისა და „დახმარების მსურველთა კოალიციის“ სხვა წევრების დახმარებით თავისი არმიის საკადრო პრობლემებს წარმატებით წყვეტს, ფრონტზე კარგად მომზადებულ ჯარისკაცებს გზავნის – განსხვავებით რუსეთისაგან, რომელიც მოუმზადებელ ახალწვეულებს სასიკვდილოდ ომის „ხორცსაკეპში“ ერეკება. ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცხადებული „ნაწილობრივი მობილიზაცია“ 150 ათასი ახალგაზრდის ჯარში გაწვევის თაობაზე შეიძლება მისი ყველაზე განამანადგურებელ სტრატეგიულ შეცდომად იქცეს. როცა კრემლი ომის დაწყებისას ანალოგიური მობილიზაციის გამოცხადებას შეეცადა, ქვეყნიდან ათასობით რუსი „პატრიოტი“ გაიქცა. თუ ბოლო ინფორმაციებს დავუჯერებთ, რუსეთში თანდათან აქტიურდება ორგანიზაცია „რუსი დედები“, რომლის წევრები – რუსი ქალები, რომელთა შვილები ფრონტზე იბრძვიან – დიქტატორ პუტინის წინააღმდეგ გამოდიან.

ვლადიმერ პუტინმა კარგად იცის, რომ სწორედ ჯარისკაცების დეფიციტმა აიძულეს საბჭოთა მთავრობა უკან დაეხია ავღანეთში 1980-იანი წლების პირველ ნახევარში განცდილი მარცხის შემდეგ, თუმცა, ცხადია, არავის აქვს იმის იმედი, რომ უკრაინაში სავარაუდო მარცხის შემდეგ დიქტატორი მშვიდობიანად გადადგება.

გენერალ ვალერი ზალუჟნის გამოსვლა იმედის ჩამნერგავია იმ თვალსაზრისით, რომ დიდი ბრიტანეთი და ევროპა შეძლებენ რუსეთზე გამარჯვებას დონალდ ტრამპთან ერთად თუ მის გარეშე. ევროპა სერიოზულად ფიქრობს საკუთარი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე. დონალდ ტრამპის ანტიევროპულმა განცხადებებმა ევროპა ძილისაგან გამოაფხიზლა. ევროპელი სპეციალისტები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან უკრაინის შეიარაღებული ძალების მშენებლობაში, მისი წვრთნისა და აღჭურვის ახალი პროგრამის შემუშავებასა და რეალიზებაში. ასევე მზადების პროცესშია სამშვიდობო ძალების (მშვიდობისმყოფლების) კონტინგენტიც. ახალი პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის გაუმჯობესებას 140 ავიაგამანადგურებლის მეშვეობით და „უპილოტო“ (არასაფრენი) ზონების შექმნას ფრონტის ხაზის ზემოთ, საჰაერო სივრცეში.

რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალები – ისევე როგორც რუსების საზღვაო ფლოტი და სახმელეთო არმია – ამჟამად ისეთ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის გაერთიანებული ძალები საკმარისი უნდა იყოს მათი შეკავებისა და უკუგდებისათვის – იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამერიკელები უარს იტყვიან სანგრებიდან ამოსვლაზე, როგორც მათი წინაპრები ხშირად აკეთებდნენ [პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს].

ფრანგულ ჟურნალში **„ლე პუენთში“ (Le Point)** დაბეჭდილია სტატია სათაურით **„საფრანგეთი – ევროპის უკანასკნელი ავადმყოფი ადამიანი“: ევროპის პროგრესული წინსვლის ფონზე საფრანგეთი ჩიხში შედის“** (ავტორი – **ნიკოლა ბავერე**). **„ემანუელ მაკრონის მმართველობის პერიოდში საფრანგეთის განვითარება შეჩერდა, რომელიც კოლაფსის დაწყებას ნიშნავს. ყველა სფეროში უკიდურესად არასახარბიელო პროგნოზი კეთდება. საფრანგეთმა სტაბილური სახით შეიძლება ახალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მიაღწიოს“,** – ასეთია პუბლიკაციის დედააზრი.

გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით: Le Point

„საფრანგეთი – ევროპის უკანასკნელი ავადმყოფი ადამიანი:

საფრანგეთი პარადოქსულ ვითარებაში აღმოჩნდა. იმ დროს, როცა კანცლერ ფრიდრიხ მერცის მიერ გერმანია „გადატვირთვის“ პროცესშია, როცა ჩრდილოეთ ევროპა გადაიარაღებას ცდილობს, სამხრეთი ევროპა პოზიციების აღდგენას იწყებს, აღმოსავლეთი ევროპა კი დანარჩენების დაწევას ცდილობს, ჩვენი ქვეყანა ევროპის ერთადერთ „ავადმყოფ „ადამიანად“ რჩება **(ეს გამოთქმა მე-19 საუკუნეში გავრცელდა ჯერ ოსმალეთის მიმართ, შემდეგ კი განზოგადდა).**

ეს ყველაფერი ხდება იმ მომენტში, როცა ვაშინგტონის ანტილიბერალური შემობრუნება ეგზისტენციალურ შოკს იწვევს გერმანიაში – ქვეყანაში, რომელიც თავის დროზე სწორედ აშშ-ის მიერ იქნა აღდგენილი და აღორძინებული... ასევე დიდი ბრიტანეთშიც, რომლის ბირთვული ძალები და დაზვერვა ამერიკაზეა დამოკიდებული... და პოლონეთსა და ბალტიისპირა ქვეყნებში, რომლმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თავიანთი ბედი ნატოს დაუკავშირეს.

რა ჭირს, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთს? უმძიმესი სახელმწიფო ვალი – კოლაფსი ყველა სფეროში.

პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მმართველობის დროს საფრანგეთის დაცემა კოლაფსში გადაიზარდა. კოლაფსია დემოგრაფიაში, როცა შობადობა ერთ ქალზე 1,62 ბავშვამდე შემცირდა (თუ ასე გაგრძელდა, 2027 წელს სიკვდილიანობა შობადობას გადაუსწრებს). კოლაფსია ეკონომიკაში, როცა ქვეყანაში 2019 წლიდან წარმოების მხოლოდ ანემიური 0,4%-იანი წინსვლა და პარალელურად კი 6%-იანი დაცემა შეინიშნება – მრავლდება ბანკროტობის შემთხვევები. გარდა ამისა, საფრანგეთი სავაჭრო კოლაფსსაც განიცდის – მისმა სავაჭრო დეფიციტმა 2024 წელს 81 მილიარდ ევროს მიაღწია და ეს იყო დონალდ ტრამპის მიერ ტარიფების გაზრდის წინ. სავარაუდოდ, ამ მხრივ წინ უფრო უარესი გველოდება. რაც შეეხება სოციალურ კოლაფსს, ის შრომისუნარიანი მოსახლეობის 8%-იანი დონის უმუშევრობაში და ერთ სულ მოსახლეზე, გერმანიასთან შედარებით, შემოსავლების 15%-იან სხვაობაში გამოიხატება. კოლაფსია ფინანსურ სფეროში: საფრანგეთს ამჟამად ისტორიულად უდიდესი შიდა სახელმწიფო ვალი აქვს – 3 305 მილიარდი ევრო (ანუ მშპ-ის – მთლიანი შიდა პროდუქტის 113%). მთავრობა დღეისათვის მშპ-ის მხოლოდ 57%-ს აკონტროლებს. კოლაფსშია ჯანდაცვა, განათლება, უსაფრთხოება, ანუ სახელმწიფოს კრახის მოწმენი ვართ.

2024 წლის ივნისიდან, როცა პრეზიდენტმა უაზროდ და უგუნურად დაითხოვა ეროვნული კრება (პარლამენტი), ქვეყანაში ინსიტიტუციური ქაოსია გამატონებული. პარალიზებულია სახელმწიფოს გადაწყვეტილებების შესრულება, პოლიტიკური ცხოვრება კი სულ უფრო მეტად ჩაკეტილი ხდება – ერთი მხრივ, მთავრობა და პრეზიდენტი, ხოლო მეორე მხრივ – ფრანგული საზოგადოება ერთმანეთთან არიან გაუცხოებული.

გავიხსენოთ: მეხუთე რესპუბლიკა შეიქმნა იმისათვის, რომ ქვეყანა გამკლავებოდა მოსალოდნელ პოლიტიკურ რყევებს, მაგრამ პირიქით ხდება: აღმასრულებელი ხელისუფლება ჩიხშია შესული, მოსახლეობა კი ისეთი სახიფათო სიტუაციის წინაშე დგას, რომელიც მას 1930-იანი წლების ბოლოს ემუქრებოდა. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ერთადერთ მიზანს როგორმე ხელისუფლების შენარჩუნება წარმოადგენს.

პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და პრემიერ-მინისტრი ფრანსუა ბაირუ ბევრ უცხოელ ლიდერს ხვდებიან, მათი განცხადებები ოპტიმისტურია, მაგრამ იმავდროულად გაბერილ-გაზვიადებული – ისევე, როგორც ოფიციალური სტატისტიკა. ისინი თვლიან, რომ სამხედრო სფეროზე უნდა გავრცელდეს პრინციპი „ნებისმიერი ფასით“ და ჰგონიათ, რომ ფრანგებისათვის სიკეთეს აკეთებენ. სინამდვილეში მათი მოქმედება ქვეყანას უფსკრულში გადავარდნას უქადის.



მოამზადა სიმონ კილაძემ

დემონისეული ირონია

(მეშვიდე გვერდიდან)

როდესაც გაცნობიერებულად ივიწყებენ წარსულს, მით უმეტეს, ახლო წარსულს, ეს ყოველთვის სახიფათო ხდება, რადგან წარსული არასოდესაა „მკვდარი წარსული“ (ანრი ბერგსონი). ის ადამიანის ქვეცნობიერში იმარხება და თავს როდის იჩენს, ღმერთმა უწყის. საქმე ისაა, თუ რატომ ხდება აჯანყება, რა გარემოებები იწვევს მას, რა მიზნისკენაა მიმართული ასეთი აჯანყება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართავ დიდ ფრანგ იურისტს მორის ორიუსს (1865-1929), კერძოდ, მის „საჯარო სამართლის საფუძვლებს“ (1910), სადაც იგი სიტყვასიტყვით წერს: **„...დასაშვებია თუ არა აჯანყება ხელისუფლების წინააღმდეგ?“ და აგრძელებს: „როდესაც პოლიტიკური ძალაუფლება აჯანყების მომენტამდე განიხილებოდა, როგორც კანონიერი ხელისუფლება, მაგრამ რომელიც გადაგვარდებოდა აუტანელი ძალადობის ფორმაში, იძირება დანაშაულებრივ უსამართლობაში ან საკუთარ ღიად ღალატობს თავის ქვეშევრდომთა ინტერესებს, მაშინ თვით თეოლოგიაც აღიარებს აჯანყების სამართლიანობას“.**

პარგად დავუკვირდეთ: ჩვენი პრეზიდენტების გაქცევები და ხალხის ბედის ანაბარად მიტოვება, როგორც მთელ საქართველოში, ასევე აფხაზეთში და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, განა არ მეტყველებს იმაზე, რომ მათი მმართველობა უკვე გადაგვარებული იყო? და განა მათი მოცილება, თუნდაც აჯანყების გზით, არ იყო სამართლიანი?! ეს უნდა გაითვალისწინონ მათ, ვინც ბრიყვულად გაიძახის, რომ „ნებისმიერმა რევოლუციამ კარგი არაფერი მოუტანა საქართველოს“ და ეს გაითვალისწინოს ხელისუფლებამაც, რომ თუ ის უმსგავსო რეჟიმად გარდაიქმნება, მოსალოდნელია რევოლუცია.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ყველა რევოლუცია „სამართლიანია“. ვიცით ორი დიდი რევოლუცია, სატანური ნიშნის მატარებელი: ე. წ. საფრანგეთის დიდი რევოლუცია, მეფის დამხობითა და პირდაპირი ანტიქრისტიანული მიზნებით და რუსეთის 1917 წლის თებერვლის ლემბერალურ-ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელიც ლოგიკურად გადაიზარდა სამოქალაქო ომში და ბოლშევიკების გამარჯვებით დასრულდა.

ჩვენში მომხდარი აჯანყებებისგან ისინი დიამეტრალურად განსხვავდებიან, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ მსგავსი რამ საქართველოსნაირ მცირე მასშტაბის ქვეყნებშიც მოხდეს!..

ვიქტორ რცხილაძე

ბზობა

დედის ლოცვით და მადლით მოსილი
მოსიარულე ღმერთი – კაცია,
ადამის სულის შესამოსელი
სხეული ჯერ არ განუძარცვია.

მხსნელი ნათელი –
სხივი ჩახჩახა,
ყურებპანტურა,
ჭკვიან „იამოს“,
წმინდა ქალაქში მიაჩაქჩაქებს,
რომ სალოცავის ზღურბლთან მიაგას.

ხომ დათვლილია გუმბულის ღერიც,
იერუსალიმ, გრძენო მისანო,
ვიცით და მაინც პილატემ ხელი
რამდენჯერ უნდა გადაიბანოს.

უკვე გაწირეს,
უკვე შერისხეს,
უკვე ითლება ძელქვა – საჯვარე,
იესო, მაინც, საკურთხევლისკენ
მიდის და მიწას ფეხს არ აკარებს.

იქით მწუხრი და
აქეთ – ალილო,
ღვთიური ნების ამობრწყინება –
სადაც „ოსანას“ ტოტი ყვავილობს,
ეკლის გვირგვინიც იქვე იწვნება.

ერთგულების ტვირთს ცოტამ გაუძლო,
ვინც უნაყოფო ხეს არ შეახმა,
მონღოლის კუნძზე
თუ წიწამურთან
ჯვარცმას თავისი ფეხით ეახლა!..

გინდა თუ არა,
მაინც დარეკავს,
თუ გაჩუმდები,
ქვა იღაღადებს,
ჯვარზე რამდენჯერ უნდა გაეკრას
შენთვის, რომ ბოლოს
ცამდე ამაღლდე...

იცის, მეხოტბე ხვალ უღალატებს,
მაინც სახედარს, ჯიუტს, თავნებას
მიაჩაქჩაქებს,
მკვლელი ქალაქის
გოლგოთისაკენ მიეჩქარება!

ანბანი

რამდენჯერ ფეხი უკან იბრუნეს,
ამოშანთავდნენ, ასე ეგონათ,
რა იცოდნენ რომ ეს თაიგული
კაცმა კი არა ღმერთმა შეკონა.

მხოლოდ ეს ერთი, დრომ ვერ წაშალა,
ხმელთა მპყრობელთა,
ციხე-ტაძართა,
გაქრა აჩრდილიც –
მიწას ჩააკვდა,
დაიქცა, ჩაქრა და დასამარდა.

რომ არავისი არ ვარ მოვალე,
კალმით ნაშობი, ჩვილის ტიტინით,
მეუღურტულება გულში მთრთოლავი
ოცდაცამეტი უბის ჩიტივით.

რამდენ შხამიან ისარს აიცდენ,
სულ შეგეწევა ფეხზე რომ იდგე,
ვიდრე ამ ჯაჭვის პერანგს ჩაიცვამ,
ვიდრე ანბანის ბექთარს მოირგებ!

*

რამდენჯერ გადაუგდე
გამოსაღადრად ყელი,
არ გემღერება,
მაინც
„ნაცარქექიავ“, მღერი!

„დევების“ კარუსელზე
აღარ გაბრუვდე ბანგით,
– ერთი, ამათი დედაც,
შეკარი ბარგი, ჩადი!

იქით – ცვედანი ხვადი,
აქეთ, „მოხვადო“ ძუკნა!
აღარ გადადის ყელში
დაყვედრებული ლუკმა.



ვანო ჩხიკვაძე

ვისი „ხატია სამშობლო“?!

ორი «კვარა»

(ექსპრომტი)

„პარკ დე პრენსზე“ ორი „კვარა“,
ჩვენი გულის გასახარად,
ერთმანეთს როგორ შვენიან –
მამა შვილს და
შვილი – მამას!

ვერსალს სულხან-საბა ახსოვს,
ამილახვრის თავდადება,
ნიკალას და მარგარიტას
„გრძნობის“ ამოთავთავება.

დღევანდელი სიხარულის
ცრემლი თვალებს ახლაც ნამავს –
იცის, ფეხზე რომ აუდგა
პარიზელი, შვილს და მამას?!

ვიდრე ამოსაძირკვი გვაქვს
„შამგნარი“ და „ლელიანი“,
საფეხბურთო მოედანიც
ჩვენთვის გრძოლის ველი არის!

ღმერთი ხელს ვერ მოუმართავს
„ცალ კარში“ ვინც თამაშობენ,



შვიდგზის ლოცვა შეეწევა
შვიდნომრიან მამა-მშობელს!
ღმერთო,
ხელი მოგვიმართე,
შვილები რომ სჯობდნენ მამებს –
გაეზარდე საქართველოს,
ციცქნა „კვარა-დამიანე!“

5.04.25

ზოგს ენატრება „ფრენჩი“,
ზოგსაც – ჩიბუხის კვამლი,
ისტორიული „მარში“
ლიახვისპირელ „მამლის!“
კრემლიდან „თეთრ სახლამდე“
თბილისის გავლით – ხვრელი.
იქით – „დისნეის კატა“,
აქეთ – „ტრამალის მგელი“!

რომელი გადაგყლაპავს,
კენჭსა ყრის კარუსელი,
რა გემღერება, მაგრამ
„ჩაკრულოს“ მაინც მღერი!
არ შეგიცვალონ ჰანგი,
ღვთის მოძებული ჩანგის,
ერთად მგზავრობა არ ღირს,
მიაფურთხე და ჩადი!

მევრჯერ გამტეხი ფიცის,
რა მოდგმისაა, იცი,
არ დაგავიწყდეს ისიც,
ახლაც გვარზე ხტის კვიცი!

არ დაგავიწყონ,
ვინ ხარ,
არ მოგეკიდოს ჭანგი,
გამჩენის „ჯამში“ ჩანხარ,
როგორც აქამდე ჩანდი:
–ერთი, ამათი დედაც,
კარუსელიდან ჩადი!

*

ჩაკირულია ხმალი ვადამდე,
ვის უნდა ჰკითხო, ასე სადამდე?!

მოძალებული გჭამს ნაგერალი,
ვისი მოდგმის ხარ, რომ დაგავიწყოს.
ბოლოს და ბოლოს,
ძარღვში მთვლემარე
სისხლი ხომ უნდა გამოაღვიძო!

შეხედე, დროშებს ვინ აფრიალებს,
გამოიღვიძე, შენ თავს რა ხდება,
მონობის ჯაჭვის „სიმთა“ ჟღრიალი
თავისუფლების ჰიმნად საღდება.

წამოუყვია თავი იქედნეს
და გიდამბლავებს ხერხემლის მალებს,
ან სანუგეშო მითხარი რამე,
ან ტყვია მაინც გამოიმეტე.

თუ არ გაიხსნა ზეცის სარკმელი
მწყალობელი და თვალი კეთილი,
დამთავრდეს ლექსი უკანასკნელი
სისხლის წვეთების მრავალწერტილით.

ნუ მეკითხები, ასე რად ხდება –
ჩალის ფასი აქვს დღეს თავდადებას.

ღამეს ლეშივით ფლეთენ აფთრები,
ვიდრე მომწვდება კლანჭი მდევრების,
უკანასკნელად მომენატრები,
უკანასკნელად გამახსენდები...

მოკიდებულო ჟანგო ვადამდე,
ასე როდემდე, ასე სადამდე!

მუსიკის მასწავლებელი

ელზა შავერდაშვილს

ჩაიწვა ბოლო ნაჭერი შეშის,
ჩაქრა ღუმელი –
სითბო გულიდან,
ნოქტიურნი და ღიმილი პეშვით
გაცრეცილ ბავშვებს ჩამოურიგა.

მოთმენა ძნელი არ არის სულაც,
როცა ღვთაებრივ ბგერებს პატრონობ,
ჰკითხავს კედლიდან
გადმოხრილ სურათს:

– თქვენც ხომ არ გცივათ,
ლუდვიგ ბატონო?!

ასე გგონია, სანოტე ნიშნებს,
აჟივჟივებულ,
შავფრაკებიან,
მერცხლებს –
მავთულზე ჩამომსხდარ ჩიტებს
ხელს აუქნევს და აფრინდებიან...
როგორც სჩვეოდა,
მორჩება როცა
კლავიშის „კენკვას“ ბიჭუნა, მორცხვი,
მასწავლებელი, პატარა „მოცარტს,“
ხელებს უთბობს და თითებზე კოცნის!

ზარი

თამაზ („დალაი-ლამა“)
კლიმიაშვილს

ვხედავ, „იყრება“ ჩვენი ბანაკიც,
საძმო სუფრასთან,
საძმოს კრებულო,
თანდათანობით დრო გაჩანაგებს –
იქით-მატულობ,
აქეთ კლებულობ!

სიკვდილო, ისევ შენ შემოგჩივი,
სიცოცხლეს მეტი ვინ ჰყავს მოცილე,
ამ ქალაქს როგორ შემოეჩვიე,
როგორ აიკლე და გამოხშირე!

დაობლებული მოთქვამს შაირი,
ჩაინაცრება დროის ღადარში,
კიბე, რომელსაც ვეღარ აივლის,
წიგნი, რომელსაც ვეღარ გადაშლის!

სიცოცხლეს ერთი სხივიც აკლდება,
მორიგი ავი სიზმარიც ახდა,
თავს ვინც დაგვიკრავს უკანასკნელად,
ხვალ შეუყვება კვერნაქის აღმართს!

არც ძოწეული,
არც საფირონი,
არც გვირგვინების ყალბი გრეხილი,
მიაქვს საყვარელ ლექსის სტრიქონი –
მიხაკი, წელში გადატეხილი!

24.03.25

პოპური

ტრიბუნიდან იმუქრება
უჯიგრო ძმა, უნიფხვო და,
აქციაზე „კოქტეილით“
მოლოტოვის სული ცხონდა.

ზოგს ხახვი და
ზოგს ქინძი და,
ზოგს დააჭრეს ოხრახუში,
ზოგს ლანძღვა და,
ზოგს მუქარა,
ზოგსაც მუშტი მოხვდა ყურში.

ტრიბუნაც ხომ პეგასია
ანგელოზის ფრთები მოსავს,
შემოისვამს,
მუზა სწყალობთ,
ლაშა – ქველს და
რატი მგოსანს!

შველას ითხოვ, მაგრამ რა ვქნა,
მითხარ, როგორ მოგიარო –
ამორძალი ყვ... იფხანს,
კაცი კიდევ მშობიარობს.

ყველა „დაკრეტინგებული“
არც შენა გცნობს, არც ილიას,
შხამი ახრჩობს, იგესლება –
სიყვარულზე აცრილია.

მუშტი მოხვდა –
ხმა გავარდა,
შენ გგონია, ფუგა იყო,
ვისი „ხატია სამშობლო“,
ძაღლი ვიყო თუ გავიგო.

ისე, ჰიმნს რომ ვაგუგუნებთ,
რატომ ჩაგრავთ თანაავტორს,
დროა აკაკისთან ერთად
ათლარიანს მივახატოთ.

ტკბილ-მწარე ევროპა



პერაც ვერ მოგვინელეგია გეონო პეტრიაშვილის მიერ ამერიკელ სტენსონთან ოლიმპიური ტოკიოს ფინალის მოლო წამზე ქარს გატნეული ოქრო, და აი, მსგავსი, ოღონდ გაცილებით წარმოუდგენელი საინფარქტო ფინიში.

საუბარია ბრატისლავაში დასრულებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც მძიმეწონოსანთა სატიტულო ბრძოლის მოლო წამზე აზერბაიჯანის სახელით მოასპარეზე **გიორგი მეშვილდიშვილმა** 4-ქულიანი(!) გდეგით ანგარიში გაუქვითა **სოლომონ მანაშვილს** – 7:7, უკანასკნელი ილეთის წესით საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ააბიჯა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილამდე ჩამოგვაჩოჩა. შეგახსენებთ, რომ 10 წლის წინათ როგორც მეშვილდიშვილი, ისე სტენსონი თბილისში გამართული მსოფლიოს ასაკობრივი ჩემპიონატის გამარჯვებულები გახდნენ.

მთლიანობაში ჯვაროსან ფალავნებზე აუგს ვერ ვიტყვით – გარდა **გივი მაჭარაშვილის** ზედიზედ მესამე ტრიუმფისა და ზემოთაღნიშნული ვერცხლისა, ბრინჯაოს **გამყრელიძე, ქემერტელიძე** და **მაისურაძე** დაეუფლნენ. დღეიდან სლოვაკურ ხალიჩაზე ქალები გამოვლენ, შაბათიდან კი – კლასიკოსები.

სიმართლე გითხრათ, გარკვეულწილად სათუოდ გამოიყურებოდა ხვიჩა კვარაცხელიას საფრანგეთში გადაბარგება ევროპულ საკლუბო ფეხბურთში ტიტულების მოხვეჭის პერსპექტივის თვალსაზრისით, რადგან პარი სენ-ჟერმენმა, თვით მესი-ნეიმარ-მბაპეს ზღაპრული დამრტყმელი ტრიოს შექმნის მიუხედავადაც კი, ჩემპიონთა ლიგის მოგება ვერაფრით მოახერხა, მაგრამ თანდათან ვრწმუნდებით, რომ ეს გადაწყვეტილება გამართლებული ყოფილა.

ყოველ შემთხვევაში, სადებიუტო სეზონში ლიგა – 1-ში გამარჯვება (ფინიშამდე 6 ტურით ადრე!), ქვეყნის თასის ფინალში უდავო ფავორიტის სტატუსით გასვლა და, რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისკენ სოლიდური ნაბიჯის გადადგმა თვალნათლივ მიუთითებს **ლუის ენრიკეს** ვარსკვლავური გუნდის მოჭარბებული ამბიციების საფუძვლიანობაზე, რაშიც თვითნაბადი ქართველი ტალანტის წვლილი განსაკუთრებულია.

პარი სენ-ჟერმენი – ასტონ ვილა 3:1
პირველი ტაიმი – 1:1

აქამდე ესპანელ სპეციალისტს თანამემამულე კოლეგა **უნაი ემერისთან** 10 მატჩიდან 7 ჰქონდა მოგებული, ხოლო თვით მასპინძლებს ინგლისელებთან 33 ბრძოლაში უარყოფითი ბალანსი სტატისტიკურ უპირატესობას სტუმრებს ანიჭებდა (10 მოგება, 9 ფრე და 14 წაგება). ერთი შეხედვით, ეს მხოლოდ ციფრებია, მაგრამ რაღაც დოზით – მაინც საყურადღებო.

მკვლელი ცაცხვით...

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, უნდა ვიამაყოთ, რომ პარტნიორთა, უპირველესად, **დუეს,** ბრწყინვალების ფონზეც კი ხვიჩა გამორჩეულად კაშკაშებდა, ტრადიციისამებრ, მთელ ფრონტის ხაზზე ასრულებდა ფართო დიაპაზონის სამუშაოს და ისეთი გოლი-შედეგრი გამოჭედა, თანაც ამჯერადაც ცაციათი (უკვე – მეოთხე სეზონში), რომ ბოლო ორი წლის მსოფლიოს საუკეთესო არგენტინელ მეკარეს **მარტინესს** გამოაცხადებინა კაპიტულაცია.

ბუნებრივია, როცა ერთ კვირაში საპასუხო რაუნდში პსჟ-ს დისკვალიფიკაციამოხდილი დაცვის ბურჯი და კაპიტანი მარკინიოსი დაუბრუნდება, ოცნებისკენ სვლა შედარებით კიდევ უფრო გაადვილდება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ფეხბურთის სამშობლოში ძალების სრული მობილიზებაა საჭირო – იქ თამაში ხომ ყოველთვის რთულია.

მეორე მხრივ, მას შემდეგ, რაც ტურნირის ძირითადი ფავორიტი ლონდონში არსენალთან 0:3 შერცხვა, მიუხედავად სანტიაგო ბერნაბეუზე რეალის წესად ქცეული სარევანშო მაგიის ფაქტორისა, ფრანგული გრანდის სატრიუმფო შანსები განუზომლად აღმატებულად გამოიყურება.

ბარსელონა – დორტმუნდი 4:0, ბაიერნი – ინტერი – 1:2.

დასასრულს, ერთი სასიამოვნო, მაგრამ ამავე დროს ჭკუის სასწავლებელი ინფორმაცია: უეფა-მ დაგვინდო და ამასწინათ დინამო არენაზე სომხეთთან მატჩისშემდგომი ინციდენტების გამო მხოლოდ 40 000-ევროიანი ჯარიმა და 1-თამაშიანი სანქცია გვაკმარა მაყურებელთა გარეშე, ოღონდ ეს მომავალი მუნდიალის შესარჩევ შეხვედრებზე არ ვრცელდება. ასე რომ, 4 სექტემბერს თურქეთთან ყველანი სტადიონზე!

პლანეტის მსგავსად

„სპორტის საერთაშორისო დღე განვითარებისა და მშვიდობისთვის“ ტრადიციულად 6 აპრილს აღინიშნება. ეს თარიღი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2013 წლის აგვისტოში დაადგინა, 2014 წლის სწორედ 6 აპრილს კი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ახალი ღონისძიების აღნიშვნას მხარი ოფიციალურად დაუჭირა.

6 აპრილი სიმბოლურად შეირჩა, რადგან 1896 წლის ამ დღეს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში თანამედროვეობის პირველი ოლიმპიური თამაშები გაიხსნა.

ბუნებრივია, ასეთ მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს სპორტის სამინისტრომაც მიუძღვნა საინტერესო აქტივობები. კერძოდ, დედაქალაქის დედა ენის ბაღში სხვადასხვა ეროვნული ფედერაცია და გასართობი სივრცე იყო წარმოდგენილი, სადაც მოეწყო ბავშვთა გასართობი მხიარული თამაშები და ასპარეზობები ამერიკულ ფეხბურთში, ხელბურთში, ბეისბოლში, ფრისბიში, მაგიდის ჩოგბურთში, სახალისო ფარიკაობაში, ნარდსა და ჭადრაკში.

პირველი ქართველი

მას შემდეგ, რაც ტაეკვანდო ოლიმპიური სახეობა გახდა, მის მიმართ ინტერესი მთელ მსოფლიოში გაიზარდა და გამონაკლისი არც ჩვენი სამშობლოა. და აი, სასიხარულო ინფორმაციაც:

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზედიზედ 2-გზის ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ზურაბ კინწურაშვილი** ჯვაროსანთაგან პირველია, ვინც 62 ქულით საერთაშორისო რეიტინგის ლიდერი გახდა.

ვიმედოვნებთ, არაერთი პრესტიჟული ტურნირის გამარჯვებული ქართველი სპორტსმენი კიდევ მრავალ წარმატებას მიაღწევს.

უბნის მაღლი

ჩვენ საბურთალოელები ვართ და მეამაყება, რომ ბავშვობისდროინდელ, მაშინ პოპულარულ დედაქალაქის უბნების ჩემპიონატისთვის გამართულ შესარჩევ შეხვედრებში მან ვაჟა-ფშაველას გამზირის მე-3 კვარტლის სახლმმართველობის 2 წლით უფროსთა ასაკობრივ გუნდში მათამაშა.

სწორედ **რევაზ ვაწაძეზეა** ნათქვამი, ფეხბურთით ცოცხლობსო. სპორტის დამსახურებულმა მუშაკმა გამარჯვებებს გემო მშობლიური ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდში გაუსინჯა, რომლის კაპიტნის რანგშიც საქართველოს ჩემპიონი გახდა, შემდეგ თბილისის დინამოს დუბლიორებში მიიწვიეს, საიდანაც ლანჩხუთის გურიაში გააგრძელა კარიერა.

საყვარელი სახეობის წარჩინებულმა დიპლომირებულმა სპეციალისტმა და ასპირანტურის კურსდამთავრებულმა ერთგვარი საბრძოლო ნათლობა ჭიათურის მაღაროელის უფროსი მწვრთნელის თანაშემწეობისას მიიღო, აქედან მოყოლებული კი, პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა.

ფეხბურთის კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, კათედრის გამგე, ასისტენტი პროფესორი და – უკვე 75 წლის იუბილესაც ვულოცავთ.

მრავალჟამიერ, რევზო მასწ!

გია პლატონიშვილი

მარადიული „მუსიკა ქარში“

დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის გამორჩეულ ტალანტს, გიორგი ქინქლაძეს ეძღვნება ცნობილი სპორტული ჟურნალისტის პოტე გოგიშვილის წიგნი, „მუსიკა ქარში“, რომლის პრეზენტაციაც მწერალთა სახლში გაიმართა.

სპორტულ ჟურნალისტთა გარდა, პრეზენტაციას ავტორის მეგობრები, ვეტერანი ფეხბურთელები და ქინქლაძის კლუბების, „მრეტებისა“ და თბილისის „დინამოს“ ყოფილი წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შოთა არველაძე: „გიორგი ქინქლაძე დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის უდიდესი მოვლენა იყო. ამაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს – 1992 წელს, როდესაც გიო „მრეტებიდან“ თბილისის „დინამოში“ გადაიყვანეს, ამ ტრანსფერში მილიონი მანეთი გადაიხადეს. ეს კი იმ დროისთვის წარმოუდგენელი თანხა – დაახლოებით 200 ათასი დოლარი იყო“.

პოტე გოგიშვილი: „ინსპირაციის წყარო გიორგი ქინქლაძის ფეხბურთი და ის დაუკმაყოფილებლობის გრძნობა იყო, რომელიც მთელ საფეხბურთო სამყაროს გიორგის მიმართ გააჩნია. ის იყო მოვლენა, რომელმაც 2-3 წელიწადში მოასწრო და გახდა „მანჩესტერ სიტისა“ და ქართული ფეხბურთის დაუვიწყარი ვარსკვლავი.

საერთოდ, მომწონს ასეთი ადამიანები, რომლებიც არ ჰგვანან სხვებს. რა თქმა უნდა, ბევრს შევეკითხე, ბევრს ვესაუბრე და ამის საფუძველზე შევეცადე, ყველაფერი ამ წიგნში გამომეხატა.

„მუსიკა ქარში“? ესაა რევზო ჭეიშვილის „ლურჯი ფრინველის“ სამუშაო სახელი და ჟურნალისტიკაში ჩემმა მასწავლებელმა ირაკლი ბერიაშვილმა თავისი სტატიის სათაურად გამოიყენა. ქინქლაძის ნიჭიც ასე გაიგნა დროსა და სივრცეში, ამიტომაც შევარჩიე ეს სათაური“, – თქვა **პოტე გოგიშვილმა.**

ციცინო შავაძე: დასაჯეთ დამკვეთები!

ეს ყველაფერი წინასწარ ჩაფიქრებული იყო!



2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმის, ამ რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირების 2003 წლიდან დღემდე საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომაზე, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილის, მოკლული სერჟანტის, როინ შავაძის მკვლელობის საქმე განიხილება, გუშინ ციცინო შავაძე მეუღლის მკვლელობის დეტალების შესახებ საუბრობდა.

კომისიის თავმჯდომარის თეა წულუკიანის კითხვის საპასუხოდ, თუ ვინ და სად მოკლა როინ შავაძე, ციცინო შავაძე ამბობს, რომ მისი მკვლელობა წინასწარ განზრახული ჰქონდათ.

> **„ასე ვიცი, რომ რუსების მიმართ გზა იყო ჩაკეტილი. ის თბილისში გადმოჰყავდათ. როგორ და რანაირად, არ ვიცი. მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ჩაფიქრებული და წინასწარ განზრახული იყო. ვფიქრობ იმიტომ, რომ – გზა დაკეტილი, მიჰყავთ, სად მიჰყავთ? დაჭერის შემდეგ გაირკვა, ჩემს მეუღლეს არც ნარკოტიკი ჰქონია, არც არავითარი გარღვევა ჰქონია, რატომ არ შეიძლებოდა ამის მათუმში დატოვება?! მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი წინასწარ განზრახული ჰქონდათ და განზრახვაში მოიყვანეს“.**

„კუდ“-ის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლებმა, როინ შავაძე 2008 წლის 16 აგვისტოს, ქობულეთის გზაზე მოკლეს. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, როინ შავაძეს სხეულზე დაახლოებით 40 ცეცხლნასროლი ჭრილობა აღენიშნებოდა.

„გარდა ცეცხლნასროლი ჭრილობებისა, გარდაცვლილს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, რაც მას გარდაცვალებამდე ძალადობის შედეგად ჰქონდა მიყენებული. მათ შორის: მარცხენა მხრის ძვლის მოტეხილობა, მარცხენა ბარძაყის ძვლის მოტეხილობა; ცხვირის, თვალბუდის და შუბლის მიდამოში დაზიანებები ნაჭდევების და სისხლნაჟღენთების სახით.

ნიკაპის და კისრის არეში ნასკდომი ჭრილობები; ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა; მარცხენა მტევნის მე-2 და მე-3 თითის ფალანგების მოტეხილობა“; „გარდა ამისა, როინ შავაძეს სხეულზე აღენიშნებოდა მრგვალი ფორმის თერმული დაზიანებების კვლები, რომელიც მიყენებული უნდა ყოფილიყო სხეულზე ანთებული სიგარეტის ზემოქმედების შედეგად; ასევე აღენიშნებოდა მრგვალი ფორმის თერმული დაზიანების კვალი, რომელიც შესაძლოა განვითარებული ყოფილიყო ცეცხლსასროლი იარაღის ლულით სხეულზე ზემოქმედების შედეგად“.

> **– მინდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი მოდგმა არ არსებობდეს. ვიცი, რომ ბოროტებას ვამბობ, მაგრამ ყველას მოვუწოდებ, რომ ჩვენ დასაკარგი არაფერი აღარ გვაქვს. ჩვენ აღარ გვაქვს არც ოჯახი, არც მეგობრება და არც მომავალი. იფიქრონ კარგად და გააკეთონ ყველაფერი სამართლიანად. არ შეიძლება ამ ხალხს ენდო. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ გაჩერებას არ ვაპირებ! ერთადერთი თხოვნა მაქვს, ხომ ვიღაცამ დაუკვეთა ეს, დაიჭირეს მკვლელები, ყველამ აღიარა, რომ იყვნენ ადგილზე, ჩაიდინეს ჯგუფურად მკვლელობა.**

მაინტერესებს, ვის მოუვიდა თავში ეს, ვიღაცამ ხომ გასცა ბრძანება, რომ გაეკეთებინათ ეს „კუდ“-ის თანამშრომლებს. „კუდ“-ის თანამშრომლები ამას ისე ხომ ვერ ჩაიდენდნენ, თუ არ ექნებოდათ ბრძანება. ისიც გავიგე, რომ როდესაც ამ მიჭების აყვანა მოხდა, მეორე დღეს საქართველო დატოვა მერაბიშვილმა.

რას უკავშირდება ეს, არ ვიცი. თხოვნა მაქვს, თუ ვინმემ რამე იცით, ამ თემასთან დაკავშირებით, რომ ვის მოუვიდა, რისთვის დაიგეგმა ეს. დასჯილ იქნენ დამკვეთები, მეტი არაფერი,“ – დასძინა **ციცინო შავაძემ.**

საქართველოს რკინიგზა თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს!

ბათუმის სადგურის მიმდებარედ სამგზავრო მატარებელი მცირეწლოვან ბავშვს დაეჯახა და დაიღუპა, – ამის შესახებ ინფორმაციას „საქართველოს რკინიგზა“ ავრცელებს.

„უბედური შემთხვევა მოხდა ბათუმის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამგზავრო მატარებელი მცირეწლოვან ბავშვს დაეჯახა. არასრულწლოვანი ადგილზე გარდაიცვალა. მატარებელი ბაქანთან მიდიოდა, რომელსაც ბათუმი-ქუთაისის რეისი უნდა შეესრულებინა. ადგილზე მისულია საპატრულო და კრიმინალური პოლიცია. საქართველოს რკინიგზა მწუხარებას გამოთქვამს ტრაგედიის გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

აჭარის პოლიციამ თაღლითი მოძალადეები დააკავა!

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1995 წელს დაბადებული ნ.ც., 1993 წელს დაბადებული ლ.ა. და წარსულში ნასამართლევი, 1991 წელს დაბადებული გ.ლ. დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, გ.ლ.-ს და ნ.ც.-ს ბრალად ედებათ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვა და იძულება. ხოლო ლ.ა. დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით ჯგუფურად ჩადენილი გამოძალვის ბრალდებითაა დაკავებული. დანაშაულები შვიდ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ გ.ლ.-მ ბრალდებულის სახით დაკავებული პირების დახმარებით, ფინანსური დავის საფუძველზე, ნაცნობისთვის, უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის 150 000 აშშ დოლარის გამოძალვა განიზრახა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ბრალდებულები აღნიშნულ პირს სხვადასხვა დროს თბილისსა და ბათუმში ძალადობით და ძალადობის გამოყენებით თანხის გადაცემას აიძულებდნენ. ამასთან, ბრალდებულები დაზარალებულს და მის მეგობარ გოგონას ფულის გამოძალვის მიზნით პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გავრცელებითაც დაემუქრნენ.

კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა გ.ლ., ნ.ც. და ლ.ა. ბრალდებულების სახით დააკავეს“.

რუსეთმა საქართველოს მოქალაქეს გიორგი გოგლიძეს 9-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა

რუსეთში საქართველოს მოქალაქეს გიორგი გოგლიძეს უკრაინულ მხარესთან ბრძოლის გამო 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის პრესსამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. რუსეთის საგამოძიებო კომისიაში აცხადებენ, რომ საქართველოს მოქალაქე დამნაშავედ ცნეს „დაქირავებულ მებრძოლად ყოფნისთვის“ და ის სასჯელს მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების კოლონიაში გაატარებს.

„რუსეთის საგამოძიებო კომიტეტის მთავარი საგამოძიებო სამმართველოს მიერ შეგროვებული მტკიცებულებები სასამართლომ საკმარისად მიიჩნია საქართველოს მოქალაქე გიორგი გოგლიძისთვის სასჯელის გამოსატანად. იგი დამნაშავედ ცნო რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 359-ე მუხლის მე-3 ნაწილით“, – ნათქვამია განცხადებაში.

დომინიკის რესპუბლიკაში, ღამის კლუბის ჩამონგრევას 184 ადამიანი ემსხვერაპლა

ბოლო მონაცემებით, დომინიკის რესპუბლიკის სანტო-დომინგოში, საკონცერტო დარბაზის სახურავის ჩამონგრევის შედეგად, სულ მცირე, 184 ადამიანი დაიღუპა,- ბოლო მონაცემებს „ბიბისი“ ავრცელებს.

მათივე ცნობით, ინციდენტის შედეგად 150-ზე მეტი ადამიანია დაზარალებული. დაზუსტებით არ არის ცნობილი, რამდენი ადამიანი იმყოფებოდა დარბაზში, მაგრამ პოლიციის შეფასებით, რიცხვი 500-დან 1000 ადამიანამდე მერყეობს. დაღუპულია მონტე კრისტის პროვინციის გუბერნატორი ნელსი კრუზი, რომელიც მიყენებული დაზიანებების შედეგად საავადმყოფოში გარდაიცვალა. ასევე საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა ნანგრევებიდან ამოყვანილი ცნობილი ბეისბოლისტი ოქტავიო დოტელი.

თბილისის მეტროს მე-3 ხაზის პროექტზე მუშაობს!

„თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ მეტროპოლიტენის ახალი, მესამე ხაზის დიდუბე-რუსთაველის მონაკვეთის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და მშენებლობის შესყიდვის თაობაზე ბაზრის კვლევას ატარებს.

პროექტის შესახებ ინფორმაციას „პრაიმტაიმს“ თბილისის მერიაშიც უდასტურებენ.

ტექნიკურ დავალებაში წერია, რომ მესამე ხაზის ცენტრალური ნაწილი მეტროსადგურ დიდუბის მიმდებარე ტერიტორიიდან დაიწყება და საბურთალოს და ვაკის გავლით მეტროსადგურ რუსთაველს დაუკავშირდება.

„მესამე ხაზის დანიშნულება იქნება „სადგურის მოედნის“, როგორც ერთადერთი მეტროპოლიტენის არსებულ ხაზებს შორის გადასაჯდომი სადგურის განტვირთვა და მეტროპოლიტენით დედაქალაქის უფრო მეტი უბნების მომსახურება, რისთვისაც მეტროსადგურებზე: „დიდუბე“, „რუსთაველი“ და „სამედიცინო უნივერსიტეტი“ უნდა მოეწყოს მესამე ხაზზე გადასასვლელი ინფრასტრუქტურა.

მესამე ხაზს მატარებლების შემადგენლობით მოემსახურება ელ. დეპო „ნაძალადევი“, რისთვისაც პროექტში გათვალისწინებული უნდა იყოს მესამე ხაზიდან მეორე („სადგურის მოედანი 2“ – „სახელმწიფო უნივერსიტეტი“) ხაზზე გადასვლის შესაძლებლობა, საიდანაც მოძრავი შემადგენლობა შეძლებს გადასვლას „ელ. დეპო ნაძალადევში“ („წერეთელი“ – „ელ. დეპოს“ დამაკავშირებელი გვირაბის საშუალებით).

ასევე საპროექტო მეტროსადგურებზე „დიდუბე 2“ და „რუსთაველი 2“ უნდა მოეწყოს სამანევრო ჩიხები“, – აღნიშნულია დოკუმენტებში.

ჯემალ სეფიაშვილის შემოქმედებითი საღამო

„ჯემალ სეფიაშვილი – სიყვარულით“ – ამ სახელწოდებით თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, საღამო 9 აპრილის სიმბოლოდ ქცეული სიმღერით „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“ დაიწყო, რომელიც დღეს პირველად შეასრულა ახალგაზრდა მომღერალთა გუნდმა მეკო ქავთარაძის ხელმძღვანელობით.

კონცერტი მუსიკალურად გააფორმეს ორკესტრმა და ბენდმა ნიკოლოზ ნიკვაშვილის ხელმძღვანელობით. შესრულდა კომპოზიტორის მიერ შექმნილი ყველასთვის საყვარელი ძველი სიმღერების ახლებური ვერსიები.

შემოქმედებით საღამოს საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე დაესწრო.

კონცერტში მონაწილეობდნენ თამარ გვერდწითელი, ანსამბლი შვიდკაცა, სოფო ხალვაში, მიხეილ პავახიშვილი, მორის პანაშვილი, ცისანა სეფიაშვილი, „ჰერიო“, გიორგი სუხიტაშვილი, აჩიკო გერიძე, სანდრო კოზახიძე, ლიკა დოლიძე, თეატრალურის კვარტეტი, ლელა თელია, ქუჩის გიჯები, აპრილია.

დამდგმელი რეჟისორი იყო თინათინ კორძაძე, დამდგმელი მხატვარი – თამარ ფოცხიშვილი. საღამოს უძღვებოდა პახა მიქიაშვილი.

ბზობა

უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

13 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის დიდებით შესვლას იერუსალიმში, რასაც ქრისტიანები ბაიაობას, ანუ ბზობას უწოდებენ. ეს არის დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა გრწყინვალე აღდგომის წინა კვირას.

...მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს – ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა, დავითისასა კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

...ღმერთი თითოეულ ჩვენგანს სთხოვს სულიერად შეეგებოს მას, სამოსელის ნაცვლად გული გაუფინოს კივცზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი – ბზის ტოტებივით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სულში, როგორც



იერუსალიმში. იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მტრებს – მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა...

საგულისხმოა ისიც, რომ ბზობის დღეს სახედარზე მჯდომ იესოს თვით მცირეწლოვანნი ყრმანიც შეჰღაღადებდნენ და აქებდნენ.

P. S. 12 აპრილს ლაზარეს შაბათია – ეს არის წინასახე მაცხოვრის გრწყინვალე აღდგომისა; ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი – გილოცავთ!

გიული ლიპარტია

«იფიგენია ავლისში» – ოზურგეთის თეატრში

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ევრიპიდეს „იფიგენია ავლისში“ დაიდგა, სპექტაკლის რეჟისორი ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი კაშიაა.

პირველად საქართველოში, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ევრიპიდეს „იფიგენია ავლისში“ დაიდგა. სპექტაკლის რეჟისორი ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გიორგი კაშიაა, რომელიც თანამედროვე თეატრალური ხედვის მიხედვით, აერთიანებს ოზურგეთისა და ზუგდიდის თეატრის მსახიობებს. ასევე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებს.

სპექტაკლი ასახავს მორალურ და ემოციურ დილემას, რომელიც დაკავშირებულია საყვარელი ადამიანის მსხვერპლად შეწირვასთან საერთო საქმისთვის, ასევე ასახავს სახელმწიფო ვალდებულებასა და ოჯახურ ერთგულებას, მათ შორის დაძაბულობას.

თათია დარჩიაშვილის «შინაგანი დრო»

12 აპრილს, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში, თათია დარჩიაშვილის პერსონალური გამოფენა – „შინაგანი დრო“ გაიხსნება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, თათია დარჩიაშვილი ცხოვრობს და მოღვაწეობს საქართველოში. მისი სამუშაო სფეროებია: გრაფიკული ნახატი, ოფორტი, ინსტალაცია, ვიდეო, კოლაჟი, სკულპტურული სამკაული, წიგნის ილუსტრაცია, მინანქრის ტექნიკა. 1999 წლიდან მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში.

„თანამედროვე ინფორმაციულ კულტურაში სამყაროს გააზრების ფორმები მოკლებულია ემოციურ წვდომას და უფრო მეტად ორიენტირებულია ახალი ინფორმაციის რეპროდუქცირებაზე, რაც ინდივიდის შემოქმედებით პოტენციალს საფრთხის წინაშე აყენებს. წინა პლანზე მოდის ინფორმაციით აღჭურვილი თანამედროვე ადამიანი, რომელიც დაცლილია შინაგანი ინტუიციით მისაღწევი აბსოლუტური ცოდნისგან. ასეთ ვითარებაში უმნიშვნელოვანესია ისეთი შემოქმედებითი მეთოდის გამოყენება, რომელიც თ. დარჩიაშვილი გვთავაზობს. მისთვის გარე სამყაროსგან შეძენილი ტრავმული გამოცდილება, მეხსიერება, სულიერი, ფიზიკური თუ ფსიქოემოციური მდგომარეობა სწორედ ინტუიციით მისაღწევი ცოდნისკენ გადადგმული ნაბიჯები აღმოჩნდა, რომლებიც ვიზუალურ სახეხატებად გარდაქმნა. მხატვრის მიერ შექმნილი გალერეა მნახველს საშუალებას აძლევს, მასთან, შემოქმედთან, კავშირი საკუთარი შინაგანი აღქმით დაამყაროს. გამოფენაზე მოსული დამთვალიერებელი იხილავს როგორც არტისტის გრაფიკულ სერიებსა და ინსტალაციას, ასევე მისი გრაფიკული ნამუშევრებით ინსპირირებულ ექსპერიმენტულ სკულპტურულ ფორმებს“.

სცენაზე – 6-წლიანი პაუზის შემდეგ

ჯენიფერ ლოპესი სცენაზე დასაბრუნებლად ემზადება. თითქმის 6 წლიანი პაუზის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, მომღერალმა მუსიკალური ტურნე დააანონსა, რომლის კონცერტებით მთელი ზაფხულის განმავლობაში გაიმართება.

როგორც ჯეილო ამბობს, მომავალი ტურნე შედარებით ლიმიტირებული იქნება და ევროპის ქვეყნებს მოიცავს. ამ ეტაპზე სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგეჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 14 აპრილს

რა მოხდა სინამდვილეში ტიტანიკის ჩაძირვის ღამეს?!

ახალი დოკუმენტური ფილმის გადაღებისას სპეციალისტებმა უახლოესი ტექნოლოგიები გამოიყენეს, რათა ტრაგიკული დღის დეტალები გამოეკვლიათ.

უახლესი ციფრული ტექნოლოგიების საშუალებით, სპეციალისტებმა „ტიტანიკის“ უკანასკნელი საათების ერთგვარი რეკონსტრუქცია მოახდინეს. National Geographic-ის ახალ დოკუმენტურ ფილმში „ტიტანიკი: ციფრული გაცოცხლება“ დეტალურად არის აღწერილი როგორ იხლიჩება ნაწილებად 270-მეტრიანი გემი აისბერგთან შეჯახების შედეგად 113 წლის წინ. National Geographic-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ დოკუმენტურ ფილმზე მუშაობისას გამოყენებული იყო წყალქვეშა სკანირების უახლოესი ტექნოლოგიები, მათ შორის 715 000 ციფრული სურათი. შედეგად, ფილმში „ტიტანიკის“ ყველაზე ზუსტი მოდელი, მისი ერთგვარი ციფრული ტყუპისცალია წარმოდგენილი.

10 აპრილს 113 წელი შესრულდა იმ დღიდან, როდესაც „ტიტანიკმა“ თავისი პირველი რეისის შესრულება დაიწყო. 1912 წლის 14 აპრილს ტიტანიკი აისბერგს შეეჯახა, 15 აპრილის დილას გემი ჩაიძირა. ფილმის პრემიერა 11 აპრილს შედგება.

„ტიტანიკზე“ 2240 მგზავრი იმყოფებოდა, მათგან 1500 ადამიანი დაიღუპა. „ტიტანიკის“ ფრაგმენტები ატლანტის ოკეანის ფსკერზე, ზედაპირიდან 3800 მეტრის სიღრმეშია. ახალ დოკუმენტურ ფილმში ნაჩვენებია, რომ გემის ინჟინრები აგრძელებდნენ მუშაობას მაშინაც კი, როდესაც გემი იძირებოდა. ისინი ცდილობდნენ ელექტროენერგია, რაც შეიძლება მეტხანს შეენარჩუნებინათ, რათა უბედურების სიგნალის გადაცემა მოესწროთ. მათ საკუთარი სიცოცხლე მგზავრების გადასარჩენად გაწირეს, ნათქვამია სტატიაში.